# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 2 ივნისი, 2012 წელი.

№104 (6980)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## ნუ დავაგორაჯებთ დედაენას!



**გურამ დოჩანაშვილი არ იშლის ჩვეულ აჩემებას** ⑦

## ყოჩაღ და გმადლობთ, სერბებო! ③

## „სანამ შატილივით არ დაეცემა გუდამაყარი, ხომ შეიძლება გზა მაინც გაკეთდეს?" ⑨

## როგორი უნდა იყოს ④ ხალხის რჩეული

## გამოცდების ცენტრის ყოფილი თანამშრომლები ზეწოლასა და დაშინებაზე საუბრობენ ⑪



## მთავრობას ⑤ გამჩენი არ ასვენებს!

სულმდაბლობა

# „რა გიხარია, შე შობელძაღლო?!"

**კი ვიცით, ვისაც და რატომაც მიმართა ასე დიდმა მუხრანმა, მაგრამ ამათ – „იმედსა" და „რუსთავი-2"-ს – რა სიხარულ-მოლოდინის სურვილი აწკმუტუნებთ ყოველ დილა-საღამოს და რატომ?**

**– მაგას რას გაუგებ კაცი, ზევით რომაა, ორი იმდენი მიწაშიაო, – გეხსომებათ, როგორ ახასიათებს მეორე მსოფლიო ომისდროინდელ იაპონიას ნოდარ დუმბაძის ერთი ცნობილი პერსონაჟი.**

**ისიც გეხსომებათ, როგორ უბარებს**



**„ფესვებში" დოდო აბაშიძის მომაკვდავი გმირი შვილიშვილს, – გახსოვდეს, ხის სიმაღლე მიწიდან კი არა, ფესვებიდან იზომებაო!**

**მაგრამ ახლა მე პირადად (და, მჯერა, არა მარტო მე!) ერთიღა მაინტერესებს: როგორ და რანაირად იზომება (თუ იზომება საერთოდ!) რომელიმე ადამიანის თუ არსებათა (ამ შემთხვევაში ასე უკეთესია!) ჯგუფის სულმდაბლობა რომელსამე კონკრეტულ სიტუაციაში?**

მავანთა იმ ყავყავ-წკმუტუნთან დაკავშირებით ვკითხულობ ამას, რომლითაც ეს ბოლო დღეებია იწყება „იმედისა" და „რუსთავი-2-ის დილისა თუ შუადღე-საღამოს „ქრონიკა" და „კურიერი".

**მათი ეს ბაკქანალია ბოლოდროინდელი ქართული ფეხბურთის ყველაზე წარმატებული ვარსკვლავის, ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის კახი კალაძის სახელს, უფრო სწორად, მისი შესაძლო დაჭერის ცუდად შენიღბულ კი არა, ლამის ღიად გაცხადებულ ნატვრა-სურვილს უკავშირდება.**

ლამის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თუმც კი ცდილობენ, როგორმე მხოლოდ ობიექტურობის მაძიებელ-მხარდამჭერად წარმოჩნდნენ, იმდენად ღიად ჩანს მოწკმუტუნეთა და მათი გადაცემების შემკვეთ-მეპატრონეთა სურვილი – ოღონდაც „კუტუზკაში" გამომწყვდეული იხილონ კახი, რომ...

ვაჭარბებ?

**თუ ასეა, რად „ალამაზებთ" და „განამტკიცებთ" ამ თემაზე ეთერში გაშვებულ ყველა სიუჟეტს მხოლოდ უხეშობისთვის კახის მოედნიდან გაძევების ან საკუთარ კარში გოლის გატანის ამსახველი კადრებით?**

**სხვა კადრები არ მოგეძევებათ არქივში? თუნდაც, ის კახის, ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში გამარჯვებულს, უეფას თასი რომ უჭირავს ხელში?**

**თანაც ორგზის?**

**ისე როგორ დაპატარავდით, რომ თქვენი დაკნინება-დაცემის თუ სულმდაბლობის გაზომვის არანაირი მეთოდი არ არსებობს?**

**ღმერთმა ნუ ქნას და, თუ კახი დაიჭირეს (იმედია, თქვენდა სამწუხაროდ, ეს არ მოხდება!), მოყვასის გაჭირვება უნდა გაგიხარდეთ?**

**მხოლოდ იმისთვის, რომ, გალაკტიონის პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, იგი, თქვენგან განსხვავებით, ხედავს სიზმრებს „არ ამქვეყნიურს?"**

**თუ, რაკი თქვენნაირად არ აზროვნებს, მოყვასი კი არა, უკვე სრულიად საქართველოს მტერია?**





**არა ხართ ამის შემდეგ იმის ღირსი, რომ კაცმა მუხრან მაჭავარიანის აღნიშნული სტრიქონის პირდაპირ ადრესატებად მიგიჩნიოთ?**

**საჭიროა კი მეტის თქმა?!**


რუსლან რუსია

ინფორმაცია

## ილია მეორე: ადამიანი უძლურია, მაგრამ მაინც რჩება ხატად უფლისა



**ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღესთან დაკავშირებით სადღესასწაულო წირვაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს ქადაგებით მიმართა.**

**პატრიარქმა ბრძანა, რომ წმინდა ნინომ ძალიან ახალგაზრდამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოსულიყო საქართველოში, სადაც უფლის კვართი იყო და ეს ღვთის განგებით მოხდა. უწმინდესმა ბრძანა, რომ წმინდა ნინომ სასწაულებრივად მოაქცია საქართველო.**

**შემდეგ პატრიარქმა ადამიანის უძლურებაზე ისაუბრა. „არ მეგულება ისეთი ახალგაზრდა, რომელიც წავა შორეულ ქვეყანაში საქადაგოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუძლურდა კაცობრიობა, ადამიანი. ახალგაზრდები გატაცებულნი არიან გართობით“, — ბრძანა ქადაგებისას უწმინდესმა.**

**კათოლიკოს-პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ ადამიანი უძლურია, მაგრამ მაინც რჩება ხატად უფლისა.**

**უწმინდესმა ასევე სულთმოფენობის დღესასწაულზე იქადაგა. უწმინდესმა ბრძანა, რომ კვირას სამებობაა, სამების ტაძრის დღესასწაული. ამ დღეს ტაძრის ეზოში მრევლისთვის სუფრა გაიშლება.**

ინტერპრესნიუსი

განცხადება

## სოლიდარობა — ქმედითი იარაღი ძალადობის წინააღმდეგ!

**საქართველოს მოქალაქეთა ბრძოლა თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოსათვის გადამწყვეტ ფაზაში შედის. ეს მძიმე ბრძოლა სააკაშვილის მხდალ, ადამიანის სახედაკარგულ, მოძალადე რეჟიმთან დღეს, როგორც არასდროს, თითოეული პატიოსანი მოქალაქისგან მოითხოვს პასუხისმგებლობას, გონიერებასა და სოლიდარობას. არც ერთ ადამიანს არ უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ სასტიკი სახელმწიფო მანქანის პირისპირ მარტოა დარჩენილი.**

**შექმნილ ვითარებაში ფონდ „ქომაგის“ დაარსება დროული, გაბედული და კეთილშობილი წამოწყებაა ქალბატონ ია მეტრეველისა და სხვა დამფუძნებლების მხრიდან. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაარსების დღიდანვე ფონდის წინააღმდეგ დაიწყო გააფთრებული ბრძოლა: ქალბატონ მოგელაძის სამარცხვინო უწყებამ ყოვლად უკანონოდ დააყადაღა „ქომაგის“ ანგარიში, ხოლო პირველივე მსხვილ შემომწირველს, ბატონ ბიძინა გიორგობიანს (რომელიც გერმანიის მოქალაქეა და თვითონ არის ამ ხელისუფლებისაგან დევნილი), ასევე უკანონოდ, დაუსწრებლად 900 000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა. რეჟიმი ყველაფერს აკეთებს, რათა საშუალება არ მისცეს საზოგადოებას, დახმარების ხელი გაუწოდოს უსამართლოდ დაჩაგრულ თანამოქალაქეებს. მათ სურთ, ნებისმიერი მეთოდებით ჩაკლან სოლიდარობისა და თანადგომის სურვილი ადამიანებს შორის, ვინაიდან ადამიანური თანაგრძნობისა და ჰუმანიზმის ნებისმიერი გამოვლინება მათთვის სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს.**

**დღეს ჩვენი მხარში დგომა სჭირდება ფონდ „ქომაგს“ და, ზოგადად, სოციალური სოლიდარობის იდეას; ქომაგი სჭირდება ათასობით ხელისუფლებისაგან დევნილ, სამსახურდაკარგულ, სრულიად უსახსროდ დარჩენილ ადამიანს; ქომაგი სჭირდება პოლიტპატიმართა ოჯახებს, რადგან პატიმრობა სააკაშვილის საქართველოში მძიმე მორალური განსაცდელის გარდა, უსერიოზულესი მატერიალური ტვირთია ოჯახისათვის — მათ ხშირად კვალიფიციური ადვოკატის დაქირავების საშუალებაც კი არა აქვთ.**

**ამავე დროს, ქომაგი სჭირდება იმ კეთილი ნების მოქალაქეებსაც, ვინც უსამართლოდ დევნილსა და ჩაგრულს ესარჩლება, რადგან ნეობოლშევიკური ხელისუფლებისაგან უსამართლოდ დევნილი ადამიანების გამოსარჩლება ამ ქვეყანაში ისევე სარისკოა, როგორც თავისუფალი აზროვნება და საკუთარი კრიტიკული მოსაზრების ხმამაღლა განცხადება. ასე იყო ბოლშევიზმის ეპოქაში, ასეა ახლაც. აქედან გამომდინარე, სოლიდარობა და თანადგომა სჭირდება თითოეულ ჩვენგანს ცალ-ცალკე და საზოგადოებას მთლიანად.**

**დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს საზოგადოებაში დაძრული სოლიდარობისა და თანადგომის ტალღას ვერც ცალკე აღებული მოგელაძის უწყება და ვეღარც მთლიანად სახელისუფლებო მანქანა ვეღარ შეაჩერებს.**

**„ქართული აკადემია“ მიმართავს იმ კერძო ფონდებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც უკვე გამოხატეს, ან მომავალში აპირებენ გამოხატონ თანადგომა „ქომაგის“ მიმართ: შეძლებისდაგვარად მოკლე დროში შევიკრიბოთ და ვიმსჯელოთ ჩაგრულ თანამოქალაქეთა დახმარების ალტერნატიულ, კანონიერ გზებზე, სანამ ფონდ „ქომაგის“ ანგარიშს უკანონოდ დადებული ყადაღა აეხსნება.**

ქართული აკადემია“
31.05.2012.

უზენეო სამართალი

**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიასთვის ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის გამოცხადების თაობაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა.**

გუშინწინ გამართულ სასამართლო პროცესზე მოსამართლეებმა ნანა ჭიჭილეიშვილმა, თეა ძიმისტარიშვილმა და ნათია ქუთათელაძემ მოსარჩელე მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს და ძალაში დატოვეს ე.წ. „უდოს“ კომისიის დადგენილება. კანონის დამცველების და მოპასუხე მხარის გულცივობამ დარბაზში მყოფი მოქალაქეების აღშფოთება გამოიწვია. განსასჯელის დამ ნანული ვახანიამ გადაწყვეტილება გააპროტესტა და დარბაზი დატოვა.

აკადემიკოსმა ვლადიმერ ვახანიამ პროცესზე დასწრების სურვილი წერილობით გამოთქვა და სასამართლოს საქმის მასალების გაცნობისთვის დრო სთხოვა, თუმცა მოსამართლეებმა: **ჭიჭილეიშვილმა, ძიმისტარიშვილმა და ქუთათელაძემ პატიმარს ამის საშუალება არ მისცეს, გადაწყვეტილება კი დაჩქარებული წესით, 5-წუთიანი თათბირის შემდეგ გამოიტანეს.**

სასამართლომ ვლადიმერ ვახანიას ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება მტკიცებულებად არ ჩათვალა, რომელიც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაში პოლიტიკური მოტივების არსებობას ამტკიცებდა.

პოლიტპატიმრის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ სასამართლომ, ისევე, როგორც ე.წ. „უდოს“ კომისიამ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდება. ბარათაშვილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ნიშნით პიროვნების დისკრიმინაცია ხორციელდება.

ვლადიმერ ვახანიას და ექიმი ნანული ვახანია ძმის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაზე საუბრობს და „უდოს“ კომისიის გადაწყვეტილებას, პატიმარზე ზეწოლის გაგრძელებად აფასებს.

**ნანული ვახანია:** „რუსთავის №6 საპყრობილე აგრძელებს ვლადიმერ ვახანიას მოწამვლას!!! მისი ჯანმრთელობის გაუარესება შევნიშნე ჯერ კიდევ მარტში. მაშინვე დამიწყეს პაემანების შეფერხება, არ მაძლევდნენ ძმასთან შეხვედრის უფლებას. ბოლოს, როგორც იქნა, ვლადიმერს შევხვდი. ჩემი ძმა გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეჭვი, რომ ისევ დაიწყეს ვლადიმერის მოწამვლა, გამართლდა.



ვლადიმერ ვახანია

## ნანული ვახანია: მკვლელებო, ნუ ფიქრობთ, რომ შეგრჩებათ, წყეულიმც იყავით!

მკვლელი და ჯალათი ხელისუფლება ძმას მიკლავს და მე ამას დიდი ხანია ვუყურებ და ვერაფრით ვშველი. დავამტკიცე, რომ ვლადიმერის სიცოცხლე საფრთხეშია და ის საპყრობილეებში მძიმედ დაავადდა. მოწამლვის პროცესი ისევ გრძელდება! ჩემი ძმის სიცოცხლის ხელყოფით და „უდო“-ზე უარის თქმით საქართველოს პრეზიდენტი და მისი ძალოვანი სტრუქტურები ვლადიმერ ვახანიაზე საშინელ ზეწოლას აგრძელებენ, თუნდაც ვლადიმერის სიცოცხლის ფასად!!! მე, ვლადიმერ ვახანიას და, ნანული ვახანია, ვაცხადებ: ვადანაშაულებ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მის „კუდ“-ს, მის იუსტიციის მინისტრს, მის შინაგან საქმეთა მინისტრს, მის პროკურორებს (საქართველოს და თბილისის მთავარ პროკურორებსძ, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს — პატიმრის მიზანმიმართულ ლიკვიდაციაში!!! თქვენზე საჩივარს შევიტან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში! მკვლელებო! ნუ ფიქრობთ, რომ შეგრჩებათ, წყეულიმც იყავით!“ — ამბობს ნანული ვახანია.

შეგახსენებთ, რომ აკადემიკოსი ვახანია ქართველმა სამართალდამცავებმა 2009 წლის მარტში, ზუგდიდში, იარაღის უკანონოდ შენახვისა და ჟურნალისტისთვის პროფესიული მოვალეობის ხელის შეშლის აბსურდული ბრალდებით დააკავეს.

განსასჯელის ადვოკატების მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკას“ ჟურნალისტმა ლელა ხუბულავამ აუდიოფირი, რომელიც დაკავებულის სახლში ჩხრეკის ჩატარების მიზეზი გახდა, ვლადიმერ ვახანიას საკუთარი ნებით გადასცა. დევნილი აკადემიკოსის დამცველების, ოჯახის წევრების და მოწმეების მტკიცებით კი ოჯახში ცეცხლსასროლი იარაღი სამართალდამცავებმა თავად შეიტანეს.

**2012 წლის სექტემბერში, პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას პატიმრობიდან 3 წელი და 6 თვე შესრულდება და შემოდგომაზე ამოიწურება სასჯელის ვადა.**

ილია ჩაჩიბაია
Presage.tv

## მინდია გულუას სიდედრის დატირების საშუალება არ მისცეს!

**პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ მრჩეველმა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „ივერონის“ პრესკლუბში გამართული სკაიპ-კონფერენციის დროს განაცხადა. ცნობილმა ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ მისი ოჯახი უკვე თბილისში იმყოფება, ხოლო მას, როგორც პიროვნებას, რომელიც „საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას“, კვლავ არ ეძლევა საშუალება გადმოკვეთოს ქვეყნის საზღვარი და ოფიციალურად შემოვიდეს საქართველოში. „მინდია გულუას აეკრძალა შემოსვლა საქართველოში, ჯერჯერობით და სამწუხაროდ, მე ვერ დავესწრები დაკრძალვას. შემიძლია დავასახელო ამ გადაწყვეტილების შემსრულებელი — საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახური, მაზმიაშვილის უწყება, რომელიც ემორჩილება ამირან მესხელსა და ვანო მერაბიშვილს. მე დღემდე არ ვიცი, თუ რა საფრთხეს ვუქმნი საქართველოს სახელმწიფოებრიობას, საქართველოდან არასოდეს არაფერი წამიღია და პირიქით იქით ჩამომიტანია, შემიქმნია სამუშაო ადგილები და გადამიხდია გადასახადები. მე შემაწყვეტინეს ეკლესიის მშენებლობა ჩხოროწყუში და ახლა ვითომ თვითონ აფინანსებენ ამ მშენებლობას. ეს არის ხელისუფლების მხრიდან პოპულიზმი და მეტი არაფერი.“**



მინდია გულუამ აღნიშნა, რომ მას არც შარშან მისცა კონტრდაზვერვის უწყებამ ბიძის დაკრძალვაზე ჩამოსვლის საშუალება და ასევე აეკრძალა საქართველოში შემოსვლა, როგორც ქართული დიასპორის ხელმძღვანელს რუსეთში. „ეს არის არაქრისტიანული მიდგომა, ასეთ ადამიანებს არც წიგნი წაუკითხავთ და არც კინო უნახავთ, სადაც მტერსაც კი პატივს სცემენ და აძლევენ საშუალებას რამდენიმე საათით, დაემშვიდობოს თავის უსაყვარლეს ადამიანს“.

ჟურნალისტის კითხვაზე, აპირებს თუ არა იგი, მიმართოს საერთაშორისო თანამეგობრობას, მინდია გულუამ განაცხადა, რომ ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით იგეგმება ხანგრძლივი ტურნე, სადაც იგი შეხვედრებს გამართავს რამდენიმე სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირებთან, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე ისრაელში, საფრანგეთსა და გერმანიაში, და ეს საკითხები აუცილებლად დაისმება საუბრის დროს, თუმცა წერილობითი ინფორმაცია ამ ფაქტებთან დაკავშირებით უკვე გაგზავნილია. როგორც ცნობილია ცნობილი ბიზნესმენის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე და მიუხედავად მინდია გულუას რამდენიმე მცდელობისა, ოფიციალურად მიელო პასუხი საქართველოს ხელისუფლებისაგან მისი ბრალეულობის შესახებ, ოფიციალური პასუხი დღემდე არ მიუღია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 12 მაისს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა მრავალათასიან შეკრებაზე დაანონსებული ინიციატივა — დევნილთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დაარსების შესახებ, რომელსაც ბიზნესმენი მინდია გულუა აფხაზ და ოს ბიზნესმენებთან ერთად დააფინანსებს, უახლოეს დღეებში რეალობად იქცევა და ფუნქციონირებას დაიწყებს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „ივერონის“ პრეს-კლუბში თავად ბიზნესმენმა მინდია გულუამ განუცხადა ჟურნალისტებს სკაიპ-კონფერენციის დროს. ფონდი, რომელიც ბიზნესმენის ინიციატივით შეიქმნა, დარეგისტრირებულია საზღვარგარეთ, აქვს ანგარიშები რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის შვეიცარიაში. როგორც მინდია გულუამ აღნიშნა, ეს არ არის პარტიის ფონდი, არც მინდია გულუას ფონდი, ეს არის ფონდი ქართველებისთვის, აფხაზებისთვის და ოსებისთვის. ფონდი უკვე დარეგისტრირდა და მუშაობას რამდენიმე დღეში დაიწყებს. ფონდის მესვეურები ამბობენ, რომ მათი მთავარი მიზანი დევნილებისთვის და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის კონკრეტული დახმარებების გაწევაა. „ხელისუფლებამ დააყადაღა და ჩხრეკა მოუწყო ფონდ „მზე შინა და მზე გარეთას“ და ფონდ „ქომაგს“. ამ შემთხვევაში ვანო მერაბიშვილისა და მისი უწყების ხელები ვერ მისწვდება დევნილთა ფონდს, რადგან ანგარიშს საზღვარგარეთ ვერ დააყადაღებენ. ჩვენ პირდაპირ უცხოეთიდან გავაკეთებთ კონკრეტულ ადრესატზე დახმარებას, რომელსაც ვერ გააჩერებს ხელისუფლება. ეს არ იქნება იმ ქვეყნის კანონის დარღვევა, საიდანაც განხორციელდება დახმარება და ასევე ეს არ იქნება კანონის დარღვევა საქართველოს ფარგლებში.

უახლოეს კვირაში მოწმე გახდებით, თუ რას გაუკეთებს ფონდი ჩვენს დევნილებს და იმ ხალხს, ვისაც საშუალება არ გააჩნია. არჩევნებამდე დარჩა რამდენიმე თვე, ამ ხნის განმავლობაში ასეულობით ოჯახი იქნება დასახლებული, რომელთაც ეყოლებათ შინაური ცხოველები, ფრინველი და ფონდიდან კიდევ მიიღებენ ეკონომიკურ დახმარებას. ფონდის ხელმძღვანელი იქნება საზღვარგარეთელი და არა მინდია გულუა, ვინაიდან პირდაპირ ვიქნები დაკავშირებული პარტიასთან და პარტიას შეექმნება პრობლემები“, - განაცხადა მინდია გულუამ.

როგორც აღინიშნა, უცხოელები გააკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ ფონდი დაეხმაროს 10 000 სტუდენტს, რომლებიც სწავლის გარეშე დარჩნენ, რადგან მათ მშობლებს არა აქვთ სწავლის საფასურის გადახდის საშუალება. „ვისაც სწავლა სურს, ჩვენ რეალურად ყველას გავუწევთ დახმარებას, რადგან სახელმწიფო არ ფიქრობს მომავალ თაობაზე, იმაზე, რომ ჰყავდეს განათლებული ერი. ამის გარდა, ფონდს აქვს დიდი გეგმები, კერძოდ შეიქმნება იდეების ბანკი. ჩვენ ვიყიდით იდეებს და შემდეგ განვახორციელებთ მათ. გავცემთ უპროცენტო კრედიტებს, ვიქნებით ინვესტორები და პარტნიორები“, აცხადებს მინდია გულუა.

ნატა ნიბლაძე

**◉ განსჯა**

# ყოჩაღ და გმადლობთ, სერბებო!




**შუაგულ ევროპაში, ბალკანეთზე ჩვენს ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ და სხვა მიზეზებთან ერთად, ალბათ ამიტომაც ჩვენსავით დაჩაგრულ სერბეთს (ჩვენ აფხაზეთ-სამაჩაბლო, ხოლო სერბეთს კოსოვოს და ჩერნოგორიას ტერიტორიები „აგვახიეს“) ახალი პრეზიდენტი ჰყავს.**

ამ „უმნიშვნელო“ ამბის სათანადოდ გაშუქება, რა თქმა უნდა, საჭიროდ არ ჩათვალეს „მიშავიზიებმა“ და თუ რატომ, ამას ადვილად მიხვდებით, როდესაც ერთ-ერთ რუსულენოვან საიტზე განთავსებული ინფორმაციიდან ამონარიდებს გაეცნობით.

„სერბეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. კვირას (20 მაისს – იქ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა, სადაც, პოლიტოლოგების პროგნოზების საწინააღმდეგოდ, „სერბიის პროგრესული პარტიის“ ოპოზიციურმა ლიდერმა, ნაციონალისტმა (!!! – ტომისლავ ნიკოლიჩმა გაიმარჯვა, რომელმაც მოქმედ პრეზიდენტ ბორის ტაჯიჩს დაახლოებით 2 %-ით აჯობა“.

... „სერბეთის ახალი, 60 წლის პრეზიდენტი დიდი ხნის განმავლობაში იყო „სერბეთის ულტრანაციონალისტური რადიკალური პარტიის“ ხელმძღვანელობაში, ხოლო ჰააგის ტრიბუნალის მიერ ამ პარტიის პირველი პირის ვოისლავ შეშელის დაპატიმრების შემდეგ, ნიკოლიჩი მისი მემკვიდრე გახდა. 2008 წ. ნიკოლიჩმა უკვე თავისი, „სერბეთის პროგრესული პარტია“ შექმნა და ულტრანაციონალისტური შეხედულებები (თუ მხოლოდ რიტორიკა? – **დ.მ.**) შედარებით ზომიერით შეცვალა.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ნიკოლიჩმა განაცხადა, რომ უარს არ იტყვის ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსზე“ (??? – **დ.მ.**)

და იქვე – ... „სერბეთის ახლად არჩეული პრეზიდენტი პირველ საზღვარგარეთულ ვიზიტად რუსეთში, „ედინნაია როსიას“ (!!! – **დ.მ.**) ყრილობაზე ჩავა“.

ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეორგოლში კი ტომისლავ ნიკოლიჩი კოსოვოს პრობლემის გადაჭრის, კორუფციასთან ბრძოლის, რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების აღდგენის და ა.შ., სხვა მრავალ პირობასაც დებს! (... – **დ.მ.**)

შევეცდები გავაანალიზო თუ რამდენად თავსებადია ზემოთ ჩემს მიერ ხაზგასმულად დასმული სამ-სამი ძახილისა და კითხვის ნიშნები თუ მრავალწერტილი ერთმანეთთან. ანუ, რასთან გვაქვს, ან შეიძლება გვქონდეს საქმე რეალურად.

გასული საუკუნის მიწურულს, 1999 წლის გაზაფხულზე დაიწყო ნატოს ავიაციის მიერ მთელი სერბეთის უმოწყალო დაბომბვა, რომელიც 77 დღის მანძილზე 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობდა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ ბელგრადი ორასზე მეტჯერ დაიბომბა. რა დროსაც ათასობით მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა – მათ შორის ქალები და ბავშვები. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები დღესაც ამტკიცებენ, მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტებს ვბომბავდითო, „შემთხვევით“ დაინგრა მრავალი სამოქალაქო შენობა, მათ შორის 15 მართლმადიდებლური ეკლესიაც!!!

თუმცა აქ ნატოს ხსენება ვფიქრობ არც თუ სამართლიანია, რადგანაც ამ სამხედრო ბლოკის სახელით ბალკანეთში დემოკრატიის ბომბებით დამყარების მისიას აშშ სამხედრო მანქანა პრაქტიკულად მარტოდმარტო ახორციელებდა.

ამ გაუგონარ ვანდალიზმს მთელი „პროგრესული“ მსოფლიო მდუმარე თანხმობით შეხვდა. იმდროინდელმა, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო თვალსაზრისით დაუძლურებულმა რუსეთმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა ამერიკისკენ მიმავალი თვითმფრინავი პროტესტის ნიშნად უკან, მოსკოვში დააბრუნა. ეს იყო და ეს, მხოლოდ ამ არაეფექტური დემარშით შეძლო რუსეთმა საუკუნეების განმავლობაში ბალკანეთზე თავისი ერთგული და ერთმორწმუნე მოკავშირე სერბეთის დაცვა.

სხვა მხრივ კი, როგორც პრეფერანსის მოთამაშეები იტყვიან, „ყველა სიმართლე“ აშშ-ს დარჩა და მათაც მოკლე ხანში დაამყარეს „სამართლიანი მშვიდობა“ ბალკანეთზე – კაცობრიობის წინაშე „სამხედრო დამნაშავენი“, სინამდვილეში კი სერბეთის პატრიოტები სლობოდან მილოშევიჩის თამადობით ტყე-ღრეში გაიხიზნენ, ხოლო სერბეთში პირველმა ფერადმა რევოლუციამ გაიმარჯვა, რის შედეგადაც ამერიკის მარიონეტი ლიბერასტები მოვიდნენ ხელისუფლებაში.

აქედან გამომდინარე, თუ სამხედრო ტერმინოლოგიას ვიხმართ, ნატოს ეგიდით სერბეთის ბომბარდირება ე.წ. „საარტილერიო მომზადება“ იყო მსოფლიო ისტორიაში პირველი ფერადი რევოლუციის წინ. რამაც შემდეგ ეპიდემიის სახე მიიღო და „ფერადმა ჭირმა“ ჯერ საქართველოში იფეთქა ე.წ. ვარდების რევოლუციის სახით და შემდეგ უკრაინაშიც გადავიდა უკვე ნარინჯისფრად გადაღებილი, საიდანაც მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეს დაემუქრა გადაგვარება-გადაშენება ცისარტყელას ფერების სრული პალიტრით.

ამ ყველაფერს რომ ერთი დამკვეთი და დამფინანსებელი ჰყავდა აშშ-ის სახით, დღეს აღარავინ დავობს. უფრო მეტიც – სერბეთში, საქართველოში და შემდეგ უკრაინაში ფერადი რევოლუციების მთავარი რეჟისორი, ერთი და იგივე პერსონა რიჩარდ მაილსი ბრძანდებოდა – ჩამოთვლილ ქვეყნებში თავთავის დროს აშშ-ის ელჩი. რიჩარდ მაილსი (ნეტავი ახლა სად არის? – **დ.მ.**), რომელიც „ბებერმა მელამ“ ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ამბობენ, კაბინეტიდან გააპანღურა, მაგრამ სამწუხაროდ გვიანი აღმოჩნდა „თითზე კბენანი“...

კიდევ ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ ფერადი რევოლუციების სამიზნე ქვეყნებს – რევოლუციამდე თუ ვერა, რევოლუციის შემდეგ მაინც აუცილებელია გეიაღლუმის ჩატარება მოცემულ ქვეყანაში. ჰოდა, სერბეთის მარიონეტულმა ხელისუფლებამ ჯერ ერთმანეთის მიყოლებით წიწილებივით დაიჭირა „სამხედრო დამნაშავენი“ (რომლებიც უბრალო ხალხისთვის ეროვნული გმირები არიან) და ჰააგის ტრიბუნალს გადასცა, ხოლო შარშან ბოლო ტესტი ჩააბარეს ევროკავშირ-ნატოსკენ მიმავალ გზაზე – გაძლიერებული სამხედრო-პოლიციური კორდონით, ბელგრადის ცენტრში პედერასტების პარადი, სპეციალურად ამ „ღირსშესანიშნავი“ დღისთვის ჩამოსულმა ევროპარლამენტის ლიბერასტმა დეპუტატებმა ჩაიბარეს!

ამ ყველაფრით აშკარად კმაყოფილმა, ევროპარლამენტის „მაღალზნეობრივმა“ დეპუტაციამ ერთი მცირე უკმაყოფილება მაინც დააფიქსირა – ძალოვან კორდონს მიღმა მდგარი უბრალო ბელგრადელების უკმაყოფილო შეძახილები თუ უბრალოდ, უილაჯობის გამო ზეაღმართული მართლმადიდებლური ხატ-ჯვრებით გამოხატული მდუმარე პროტესტი არ მოეწონათ. აქედან გამომდინარე კი, ყველაფერი ფართო მასების გაუნათლებლობას მიაწერეს და ამ მასების „გასანათლებლად“, აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩატარებისთვის, დაფინანსების პირობა მისცეს სერბეთის ხელისუფლებას ევროპიდან მოსულმა მაღალმა სტუმრებმა.

როგორც იტყვიან, სიტყვამ მოიტანა და გარემ ერთ რამესაც ვიტყვი – მაშინ, როდესაც სერბეთი მისთვის საბედისწერო, ისტორიული არჩევნებისთვის ემზადებოდა, თბილისში დაიწყო და კიევ-ერევანში გაგრძელდა გეიპარადების გამართვის მცდელობები, რომლებიც ყველგან კრახით დაუმთავრდათ ადგილობრივ პედერასტებსა და მათი უფლებების დამცველებს.

ჰოდა, აგერ 27 მაისს, მოსკოვშიც იყო პედერასტების პარადის გამართვის ეს მერამდენე მცდელობა, რომელიც ასევე „ეს მერამდენედ“ მოსკოვის პოლიციამ და უბრალო ხალხმა ერთად „ჩაიბარეს“ – თავპირის დანგრევით დაუმთავრდათ ადგილობრივ „ქათმებს“.

თბილისი, კიევი, ერევანი და ახლა მოსკოვი – ვითომ შემთხვევითია „პიდორ-შეტევის“ აგორებული ტალღა პოსტსაბჭოთა სივრცეში?

მოსკოვი, რომელიც უპირველესი სამიზნეა ახალი ფერადი რევოლუციისა, რომელიც ოკეანეს გაღმიდან დანიშნულ-დაფინანსებული „ოპოზიციის“ მეშვეობით უნდა განხორციელდეს. და რომელიც, თუ ეს მოხდა, სავარაუდოდ თეთრი რევოლუციის სახელით შევა ფერადი რევოლუციების მატიანეში, რადგანაც ე.წ. „არასისტემურმა ოპოზოციამ“ თეთრი ლენტები აირჩია საკუთარ სიმბოლოდ.

მაგრამ ახლა მთავარ თემას დავუბრუნდეთ, ანუ, რატომ ყოჩაღ სერბებო და თანაც რა გვაქვს სამადლობელი ჩვენ, ქართველებს?

რა და ის, რომ სერბეთის ფერადი რევოლუციის შედეგების აღმოფხვრით, აშშ-ის ფერადი პროექტი პრაქტიკულად ტოტალური კრახით დამთავრდა. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ ფერადი ხელისუფლება ბოგინობს, მხოლოდ საქართველოა. რაც შეეხება რუსეთს, მიუხედავად ამ უდიდესი და უმდიდრესი ქვეყნის მომავლის მიმართ ზოგიერთი უტვინო პოლიტოლოგის სკეფსისისა, მას კაი ხანი დაშლა არ ემუქრება, რადგანაც მთავარი ინსტრუმენტი ამა თუ იმ ქვეყნის დაშლისა (სერბეთი და საქართველო), ფერადი რევოლუცია, რუსეთში ერთობ უპერსპექტივო ოცნებაა ვაშინგტონისა.

გასული საუკუნის მიწურულს, როდესაც ამერიკას უკვე საბოლოოდ გადაჭრილი ეგონა „რუსული საკითხი“ და ამიტომ „ძაღლადაც აღარავინ აგდებდა“ რუსეთს მსოფლიო გეოპოლიტიკაში, პუტინის მოსვლის შემდეგ, რომ იტყვიან, ფენიქსივით აღდგა ფერფლიდან და ახლა ისეთ სიძლიერეს მიაღწია, რომ ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ პოზიციებსა და ტრადიციულ გავლენის სფეროებს მთელს მსოფლიოში. რისი დასტურიც თუნდაც სერბეთის მაგალითია. სერბეთის, რომელიც ვიმეორებ, მთავარი ერთმორწმუნე (!!! – მოკავშირე იყო რუსეთისა ბალკანეთის ევროპაში.

არ არის გამორიცხული, რომ ამ ქვეყანამ, ახალი პრეზიდენტის მეცადინეობით, ევრაზიული სივრცისკენ მიმართოს საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვექტორები. დიახ, ევრაზიისკენ, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე (და ეს რბილად ნათქვამია – სულ უფრო მიმზიდველი ხდება არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, არამედ ევროკავშირის წევრი ე.წ. მეორეხარისხოვანი ქვეყნებისთვისაც. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ უკანასკნელ პერიოდში სერბეთის ახალი პრეზიდენტის ულტრანაციონალისტური რიტორიკის შედარებით ზომიერით ჩანაცვლება ერთგვარი პოლიტიკური ბლეფი იყო, რაც ტომისლავ ნიკოლიჩს ხელისუფლებაში მოსასვლელ გზაზე აშშ-ს სავარაუდო წინააღმდეგობის განეიტრალებისთვის დასჭირდა.

სხვანაირად გაუგებარია თუ როგორ აპირებს ნიკოლიჩი კოსოვოს პრობლემის გადაჭრას ევროკავშირთან ინტეგრაციის გზით. ევროკავშირის, რომლის წევრებმაც აშშ-სთან ერთად მქუხარე აპლოდისმენტებით აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა.

* * *

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით 27 მაისის თბილისში გამართულ აქციასაც შევეხოთ წინამდებარე წერილის პათოსიდან გამომდინარე.

სერბეთის ახალი პრეზიდენტის არ იყოს, ბიძინა ივანიშვილის მიმართაც დღითი დღე ძლიერდება ის მოსაზრება, რომ „ქართული ოცნების“ რესპუბლიკურ პარტიასთან ჩახუტებაც პოლიტიკურ-პრაგმატული ხერხია, რათა დროზე ადრე არ აიმხედროს აშშ-ის ნეოლიბერტალიანური ძალები, რომლებიც მიუხედავად რესპუბლიკურ-ნატოური კომუფლაჟისა, არც ახლა სწყალობენ განსაკუთრებულად „ქართულ ოცნებას“.

სხვათა შორის, 27 მაისის აქციაზე, ნატო-ევროკავშირის დროშების აბსოლუტურად არაბუნებრივი, აშკარად ზომაზე მეტი სიმრავლე სწორედ ივანიშვილის ზემოთქმულ საფუძვლიანობას უფრო ამძაფრებს და არა პირიქით, რაც საქართველოში არსებულ ანტიგლობალისტურ, ანუ, ეროვნულ ძალებს ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მიმართ ოპტიმიზმით განაწყობს. შემოდგომაზე გამარჯვების შემთხვევაში, რისი წინაპირობა ის არის, რომ აშშ-მა, თუ არ დაგვეხმარება, როგორც მინიმუმ ხელი მაინც არ შეგვიშალოს, სავარაუდოდ „ქართული ოცნებისა“ და „რესპების“ გზები გაიყრება და მუდამ 3%-იანი რესპები ლიბერასტულად მყვირალა პატარა ფრაქციას დასჯერდებიან პარლამენტში. ხოლო ბიძინა ივანიშვილი უმთავრეს პრიორიტეტად რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას გამოაცხადებს, თუნდაც აშშ-სთან ურთიერთობების გაუარესების ხარჯზე.

სხვანაირად წარმოუდგენელია დაკარგული ტერიტორიების ამა თუ იმ ფორმით დაბრუნება, რადგანაც „ნატო ნატოს“ უაზრო ძახილი და ჩვენი უმთავრესი პრობლემის მოგვარება – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ერთმანეთთან არათავსებადია.

**დავით მხეიძე**

**◉ ინფორმაცია**

## გარემოვაჭრეები და ზუგდიდის ბაზრის დირექტორი „შეიბნენ“

**ზუგდიდში** გარემოვაჭრეთა აქციის მონაწილეებსა და ბაზრის დირექტორ გია კანკიას შორის ინციდენტი მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ზუგდიდიდან იუწყება, გარემოვაჭრეები გამგეობის შენობასთან აქციას მართავდნენ. გამგეობიდან ზუგდიდის ბაზრის დირექტორი გამოვიდა, რომელსაც გარემოვაჭრეები ყვირილით შეხვდნენ. აქციის მონაწილეები თან გაჰყვნენ დირექტორს და ბაზარში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ. რამდენიმე გარემოვაჭრე მას ხელითაც შეეხო.



გარდა ამისა, რამდენიმე გარემოვაჭრე შეუძლოდ გახდა და სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება გახდა საჭირო. ზუგდიდის ბაზრის მიმდებარედ გარევაჭრობა აიკრძალა, რასაც გარემოვაჭრეთა პროტესტი მოჰყვა.

ინტერპრესი

დეპუტატი

# როგორი უნდა იყოს ხალხის რჩეული

> „ვაჟკაცი იგია, ვინც მართალს ეტყვის ქვეყანას მცდომსაო.“
>
> ილია ჭავჭავაძე



**მკითხველის ყურადღება უნდა გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. როდესაც იწყება არსებული რეჟიმის რღვევა და მისი ბედი გადაწყვეტილია, მაშინ შესაძლოა არაერთმა დეპუტატმა ასეც თქვას, დიდი ხანია ვითმენდი ამ უსამართლობას და აწ დუმილი აღარ შემიძლიაო. ამის არაერთი მაგალითი გვსმენია. მსგავსი განაცხადი კარგია, მაგრამ იგი ასევე ტოვებს წარმოდგენას, თითქოს მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის იწყებდნენ მზადებასო. ეს არაერთხელ მომხდარა, თითქმის ნებისმიერი მთავრობის დროს და, როგორც ვხედავთ, ამ უმსგავსოებას ბოლო არც უჩანს. დეპუტატი, რომელიც წლების განმავლობაში დუმილით, მაგრამ მაინც მხარს უჭერდა ყოველგვარ უსამართლობას: ქვეყნის დამანგრეველ ქმედებებს, არ იმსახურებს მომავალში საზოგადოების ნდობას. მან უნდა აგოს პასუხი, რადგანაც, არათუ არ გაამართლა ხალხის ნდობა, არამედ თავისი დუმილით ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის თანამონაწილე იყო.**

დეპუტატები, რომლებიც ღალატობენ ამომრჩევლის ინტერესებს და დეპუტატის სტატუსს, შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

**დეპუტატი, რომელიც თავისი „დიადი“ მიზნების მისაღწევად პარლამენტის წევრი გახდა, „ზემდგომის“ გავლენით, მხარს უჭერს ნებისმიერ უსამართლობას, ანტიეროვნული პროექტების ავტორადაც გვევლინება და გულმოდგინედ იცავს მას, რითაც უზრუნველყოფს თავის პირად ინტერესებს, მაშინ როდესაც დეპუტატს ზემდგომი არ უნდა ჰყავდეს ხალხის ინტერესების გარდა.**

**მეორე: ესენი არიან საშუალო მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების დეპუტატები; მათთვის დამახასიათებელია გულგრილობა და უპრინციპობა ეროვნული ინტერესებისადმი, საკუთარი ამომრჩევლისადმი, საკუთარი მატერიალური უზრუნველყოფისა და სიმშვიდის გარანტიის სანაცვლოდ. სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას კი მოქალაქეობრივი პოზიცია და სულის სიმტკიცე სჭირდება, რაც ამ კატეგორიის დეპუტატებისათვის უცხოა და მიუღებელი.**

**და მესამე: დეპუტატების ის კატეგორია, თვითონაც, რომ უკვირთ როგორ გახდნენ ხალხის რჩეულნი. მათ იციან, ხელისუფლების ან თავისი „ზემდგომის“ წინააღმდეგ წასვლა რომ არ შეიძლება. მათ საკუთარი უმეცრების გამო ვერც წარმოუდგენიათ შექმნილი ვითარების გაანალიზება. არ აქვთ დიდი პრეტენზიები და არც გააჩნიათ თავიანთი პოზიცია. ისინი კმაყოფილდებიან იმით, რაც მიეცათ, ხელფასით და სხვა პრივილეგიებით.**

ცხადია, სამივე შემთხვევაში ხდება პიროვნულისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. იმ დეპუტატებისთვის, რომელთათვისაც პირადული ინტერესები ეროვნულზე მაღლა დგას, სრულიად უცხო რჩება სოკრატესა და ილია ჭავჭავაძის შეგონება. **„ადამიანი იმიტომ კი არ იბადება, რომ ჭამოს, არამედ ჭამს იმიტომ, რომ კაცურად იცხოვროს და კეთილ საქმეებს ემსახუროს“.** მაგ. თუ რომელიმე დეპუტატს ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებენ, რაც ხშირად ხდება ჩვენს პარლამენტში, „მე დეპუტატს ეს როგორ მაკადრესო“, შეიძლება იუკადრისოს, მაგრამ როცა მთელს ქვეყანას ნაწილ-ნაწილ ყიდიან, ერს სულში აფურთხებენ, ამცირებენ, უგინებენ სალოცავებს და უნგრევენ, მაშინ დუმან: — „პირადად ჩემს ღირსებას ხომ არ შეხებიანო“. ასეთი ადამიანები საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე არსებითად იცვლებიან: „მამულიშვილებად“ ევლინებიან ქვეყანას და, სამწუხაროდ, ჩვენც ვირჩევთ მათ, შემდეგ კი ჩვენვე გვიწევს ჩვენივე შეცდომების გამოსასწორებლად წლობით ქუჩებში საპროტესტო აქციებზე დგომა.

საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ უცხოეთიდან შემოსული დახმარებების დიდი ნაწილის მითვისებამ, მთელი ბიზნესის მონოპოლიზაციამ, ხელისუფლებისა და ქვეყნის ფინანსების ერთ ხელში მოქცევამ და მთელი ეროვნული ქონების განიავებამ ქვეყანა ორ ნაწილად გაჰყო: **ხელისუფლება და ხალხი; მდიდარი დეპუტატები და მათი მცდელობით კიდევ უფრო გალატაკებული ამომრჩევლები.**

ხელისუფლებისა და პარლამენტის ასეთმა დამოკიდებულებამ საკუთარი მოსახლეობის მიმართ კიდევ უფრო აქტუალური გახადა საკმაოდ გავრცელებული გამონათქვამი: „ფული და პოლიტიკა ბინძური საქმეა“. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები რომ არა, ასეთი ტენდენცია, ალბათ, სამუდამოდ დამკვიდრდებოდა, კერძოდ: ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი უპრეცედენტო ქველმოქმედებით დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის, ფულით დიდი სიკეთის კეთება შეიძლება და ჯერი ახლა პოლიტიკაზეა.

„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონება გონიერსა“, ბრძანებს შოთა რუსთაველი. აქედან გამომდინარე: როდესაც გამოსავალ გზებზე ვფიქრობთ, ჩვენს მოსახლეობას, ქართველ ერს, ყველას, გვმართებს განსაკუთრებული გონიერებითა და ყურადღებით მივუდგეთ საპარლამენტო არჩევნებსა და დეპუტატობის კანდიდატთა შერჩევას. როგორც ვხედავთ, სწორედ ამ საკითხების სწორ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ქვეყნისა და ერის მომავალი.

* * *

**ახლა ვნახოთ, რა არის დეპუტატის დანიშნულება და რა თვისებები უნდა ახასიათებდეს ხალხის რჩეულს?**

2009 წლის 18 იანვარს ინგა გრიგოლიას გადაცემაში „პოლიტიკური თამაშები“ ყოფილმა დეპუტატმა, უკვე ეკონომიკის მინისტრმა ლაშა ჟვანიამ, განაცხადა, რომ ის პოლიტიკოსია და არა ანალიტიკოსი, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა არაპროფესიონალიზმსა და უმეცრებაში და რის გამოცაა, რომ დღევანდელ შედეგებს ვიმკით.

დეპუტატს, პარტიული სიით იქნება ის არჩეული, თუ მაჟორიტარული წესით, უნდა შესწევდეს უნარი, გააანალიზოს წარსული, შეაფასოს აწმყო და განჭვრიტოს მომავალი. სწორედ ასეთი დეპუტატების მეშვეობით უნდა შეისწავლებოდეს ამომრჩევლის პრობლემები, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, რითაც უნდა იქმნებოდეს საერთო წარმოდგენა მთლიანად ქვეყნის მდგომარეობაზე, ამისდა მიხედვით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა ღებულობდეს შესაბამის კანონებს, აღგენდეს ქვეყანაში განსახორციელებელ ღონისძიებებს. ასეთი ადამიანების დეფიციტმა მიგვიყვანა დღევანდელ კატასტროფამდე, როცა პარტიული სიით, ასევე რაიონიდან წარმოდგენილ მაჟორიტარ დეპუტატებს გულთან ახლოს არ მიაქვთ ხალხის პრობლემები და ნათელი წარმოდგენაც არ გააჩნიათ მიმდინარე მოვლენებზე, გლობალიზაციის პროცესებსა და საგარეო და საშინაო პრობლემებზე.

როდესაც არ იციან პრობლემების არსი, როგორ ექნებათ მათზე პასუხი?

საკითხისადმი ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას, პარლამენტი ბრძენთა საკრებულოდ იქცეს და არა მოლაყბეთა და მზაკვართა თავყრილობად.

ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე მოგვითხრობს: „როცა სპარტელი პედარეტე არ აირჩიეს სამასთა საბჭოში, იგი სახეგაბრწყინებული და გახარებული დაბრუნდა შინ — „საყვარელ ქალაქს სამასი კაცი ჩემზე უკეთესი ჰყოლიაო“. ყოველმა ბერძენმა იცოდა, რომ მისი რჩეული ადამიანი მასზე უფრო მცოდნე და საჭირო უნდა ყოფილიყო ქვეყნისათვის.

დღეს, 2700 წლის შემდეგ, განვითარებულ სამყაროში ასეთი იდეალური მიდგომა ჩვენთვის თითქოსდა წარმოუდგენელიცაა. ამის მთავარი მიზეზი ჩვენს ქვეყანაში გამეფებული უზნეობაა: ხელისუფლება და მის მიერ მართვადი პარტიები თავიანთი ძალაუფლების შესანარჩუნებლად მუდმივ ბრძოლაში არიან ჩართული, რასაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. კანდიდატებს ძველ სპარტელთა მსგავსად უნდა მოეთხოვებოდეთ მაღალი ზნეობა და სამართლიანი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ. სამართლიანობისა და ერის კეთილდღეობისათვის უნდა შეეძლოს ადამიანს პირადული შურისა და ინტერესების დაძლევა. ტყუილად ხომ არ უთქვამთ: — „საკუთარ თავზე გამარჯვება ყველა გამარჯვებაზე უფრო ფასდება“.

ასე და ამრიგად: აუცილებლობა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ ამ საკითხს და ხაზი გავუსვათ იმ თვისებებს, რომლითაც უნდა ხასიათდებოდეს უმაღლეს საკანონდებლო ორგანოს დეპუტატობის კანდიდატი, ანუ ხალხის რჩეული:

იყო დეპუტატი, ანუ ხალხის რჩეული - ნიშნავს ეროვნული ინტერესი, ხალხის კეთილდღეობა პირადულზე მაღლა დააყენო, ანუ ერთს უნდა შეეძლოს ემსახუროს მრავალს (თუმცა სხვისი ბედნიერებისათვის ზრუნვა საკუთარი ბედნიერების მოპოვების საუკეთესო საშუალებაა). ადამიანს უნდა შეეძლოს ამაღლდეს თავის თავზე, რაც იგივეა, რომ ჩაღრმავდეს თავის თავში, „შეიცნოს თავისი თავი“, ეს თვისებები, რა თქმა უნდა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

უნდა იყო დამოუკიდებლად მოაზროვნე, რომ სიბრძნისეულად შეძლო ყველა საჭირბოროტო საკითხის გაანალიზება;

უნდა იყო შეუპოვარი, სამართლიანი და პრინციპული, რომ გამოთქვა საკუთარი აზრი და დაიცვა იგი და არ მოექცე სხვისი უარყოფითი გავლენის ქვეშ.

საეჭვო წარმომავლობისა და ბიოგრაფიის ადამიანის არჩევა პარლამენტში, ან უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე დაუშვებელია!

ერთად აღებული ეს თვისებები უნდა იყოს მთავარი საზომი კანდიდატის შესარჩევად. ასეთ კანდიდატთა გამოვლენა და არჩევა გარანტია იქნება ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამოყვანისა და ერის მომავალი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

სხვა მხრივ ისევ დღევანდელ პარლამენტს მივიღებთ, რომელზე დაყრდნობითაც ხელისუფლება ახორციელებს თავის ანტიეროვნულ პოლიტიკას.

უძველესი სიბრძნე გვასწავლის: „შეიცან თავი შენი“. ვინც შეიცნო თავი თვისი, მან შეიცნო ღმერთი და ვინც შეიცნო ღმერთი, მას ადამიანის გამოცნობა წარმოიდგინეთ, როგორ გაუადვილდება. ერთი სიტყვით, ფილოსოფოსობა რომ არ გაგვიგრძელდეს, ზემოთ განხილულისაგან უნდა აღვნიშნო:

როდესაც საზოგადოება დეპუტატობის კანდიდატს ირჩევს (ან ხელისუფლების წარმომადგენელს სხვა სფეროში), პიროვნებაზე მისივე ბიოგრაფია უნდა ლაპარაკობდეს მასზე: რა გზა განვლო და რას წარმოადგენს.

ცხოვრებისეული გამოცდილება გვაფრთხილებს: „ღმერთს ადამიანისათვის ენა იმიტომ მიუცია, რომ მისი ნამდვილი აზრები დაფაროს,“ ამიტომ ასე იოლად ნუ მივენდობით მის თითქოსდა „თავმდაბლურ“ შეხვედრებსა და დანაპირებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამწუხარო ფაქტები თავის თავზე თვითონვე მეტყველებენ: ჩვენი მოსახლეობის ნაწილს ჯერაც ვერ გაუთავისებია რეალობა, რაც მაიძულებს ასე კონკრეტულად მივაქციო ყურადღება ამ საკითხებს. აკი საღვთო წერილი მიგვითითებს: „ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან“ (ახალი აღთქმა, მათე 7.15). ხე ნაყოფით შეიცნობა. ამიტომ, კანდიდატს, რომელსაც ვირჩევთ, უნდა ჰქონდეს განვლილი ის მოსამზადებელი ეტაპი, რაც იძლევა ცხოვრებისეულ გამოცდილებას (აქ მხედველობაში არ გვაქვს მხოლოდ დიდად ცნობილი ფიგურების აუცილებლობა, არამედ რაიონის, კუთხის, ქვეყნის მასშტაბით იმ ადამიანებს ვგულისხმობ, ვინც თავიანთი ურყევი ავტორიტეტითა და ცოდნით კეთილ საქმეს ემსახურებიან.)

კანდიდატის ბიოგრაფიიდან გამომდინარე, შეიძლება შევაფასოთ მისი მომავალი გეგმები, რამდენად სანდოა და საფუძვლიანი მისი დაპირებები. ვისი საქმეც ერის კეთილდღეობაზე ზრუნვას უკავშირდება და სარგებლობს სუფთა რეპუტაციით, გამოირჩევა გონიერებით, სიტყვისკაცობით, პუნქტუალობით, იგი, რასაკვირველია, ყველასათვის სანდო და მისაღები იქნება. ამის ბრწყინვალე მაგალითია ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე, მან საქართველოს მოსახლეობას ანტიეროვნულ რეჟიმზე გამარჯვების რეალური იმედი ჩაუსახა.

თუკი კანდიდატის ბიოგრაფია შორს არის ზემოთ აღნიშნული თვისებებისაგან და მისი ცხოვრება, მხოლოდ პირადულ ინტერესებს ემსახურება, მაშინ მისი მომავლის გეგმებიც საეჭვო ხდება, არ შეიძლება ისეთ ადამიანს მივანდოთ ერის ბედი, ვისაც მანამდე მისთვის არაფერი უკეთებია.

ერთ-ერთ პიროვნებას, რომელსაც პარლამენტში მოხვედრის ამბიცია ჰქონდა, ზოგადად გავაცანი ჩემი მოსაზრება ამ საკითხებზე. როგორც ჩანს, იგი სრულებით ვერ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს და პარლამენტი მისთვის, მხოლოდ დიდ ხელფასთან ასოცირდებოდა, ამიტომ იყო შეწუხებულმა, რომ წამოიძახა: კი, გეთანხმები, მაგრამ სად უნდა ნახო ასე ჭკვიანი და წესიერი ადამიანებიო?

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს გვერდით, ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან, რომელთაც არ უჭირთ საკუთარი აზრის გამოთქმა და მისი დაცვა.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, გავმეორდები: — უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ასარჩევ კანდიდატთა მიმართ ასეთი დამოკიდებულება მოგვცემს იმის თქმის საშუალებას, რომ **პარლამენტი ჭეშმარიტად ბრძენთა საკრებულოა და არა მოლაყბეთა და მლიქვნელთა თავყრილობა.** ამიტომ, აუცილებლად მიმაჩნია ყურადღება გავამახვილო ისეთ უმთავრეს საკითხებზე, როგორიცაა ნიჭი ადამიანის გამოცნობისა, საკუთარი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, არჩევნებში ასარჩევ კანდიდატთან მიმართებაში.

ამ საკითხებისადმი ასეთი მიდგომა ერთ-ერთ მთავარ პირობად მიმაჩნია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დაკარგული ნდობის აღსადგენად, რაზედაც არსებითადაა დამოკიდებული მომავლის ბედი, ჩვენი ქვეყნის წარმატება თუ წარუმატებლობა.



**ნიაზ ბოლქვაძე,**

**ფილოსოფოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.**

ინფორმაცია

## „ლეიბორისტები“ სააკაშვილის გუნდის წევრებისა და ივანიშვილის საერთო ბიზნესინტერესებზე საუბრობენ

**როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სააკაშვილის ხელისუფლებისა და ივანიშვილის გარიგება-ალიანსი არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ოჯახურ-კლანური ფორმითაც გადაჯაჭვულია ერთმანეთზე.**

**„სოროსული მოძრაობის ფუძემდებელი საქართველოში, „განათლების სისტემის დამაქცევარი და ბავშვების რისხვა“, ამჟამად გაეროში სააკაშვილის ემისრის კახა ლომაიას ძმა გია ლომაია ოლიგარქ ივანიშვილის ბიზნესპარტნიორია“, — განაცხადა გუგავამ. კერძოდ, „ლეიბორისტების“ ერთ-ერთი ლიდერის მიტკიცებით, გია ლომაია მოსკოვში ივანიშვილის პირადი წარმომადგენელია და მილიარდერის ბიზნესს განაგებს.**

## თბილისში საბაგიროთი მგზავრობა 1 ლარი ეღირება

**დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილება „საკანონმდებლო მაცნეში“ უკვე გამოქვეყნდა. დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისში საბაგირო გადაყვანა, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროდ განისაზღვრა. ამავე გადაწყვეტილებით, მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით 1,0 ლარის ოდენობით დადგინდა. შეღავათები საბაგიროთი მგზავრობის დროსაც იქნება. კერძოდ, ის პირები, რომლებიც ავტობუსით და მეტროთი 20-10 თეთრად მგზავრობენ, საბაგიროთი მგზავრობა 50 თეთრად მოუწევთ, ხოლო ის პირები, რომლებიც ავტობუსით და მეტროთი უფასოდ მგზავრობენ, საბაგიროს მეშვეობითაც 50 თეთრად იმგზავრებენ**

ინტერპრესი

# მთავრობას გამჩენი არ ასვენებს!

**ამ კაცს გამჩენი არ ასვენებსო, იტყვიან ხოლმე ისეთ პიროვნებაზე, რომელიც თავის უგონო, ცანცარა საქციელით საკუთარ თავსაც ტანჯავს და ირგვლივ მყოფთაც ანერვიულებს. ეს ცალკეულ პერსონათა შემთხვევაში, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, ვნებათა ღელვის რამხელა შტორმს გამოიწვევს ესა თუ ის მთავრობა, რომელსაც გამჩენი მართლა არ ასვენებს და წაღმა-უკუღმა ახოხიალებს. თუმცა რაღა წარმოდგენა უნდა იმას, რასაც აგერ რვა წელიწადია ქართველი ხალხი საკუთარი თვალით უყურებს. მარტო თვითონ რომ იყვნენ მოუსვენრობაში მიშნაცები, კიდევ რა უჭირდა, უბედურება იმაშია, რომ ქვეყანასაც არ ასვენებენ ეს უთავბოლოდ შემოქმედი ჩიტირეკიები.**

როგორ ფიქრობთ, რომ არა ჩიტირეკია მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკა, 27 მაისს თბილისის ქუჩებში ამდენი განაწყენებული ადამიანი გამოვიდოდა? ქვეყნის გენიოსა თავკაცს რომ ჰკითხოთ, თურმე მოსახლეობის ერთ ნაწილს მთავრობის მიერ გატარებული სასწაულმოქმედი რეფორმები არ მოსწონს და უკმაყოფილებას ქუჩის აქციით გამოხატავს. უფრო „შორსმჭვრეტელურად“ გამოიყურება ქვეყნის მეორე პირის შეფასება, რომელიც ხალხის დემონსტრანტულ განწყობას საქართველოში დამკვიდრებული დემოკრატიის მაღალ ხარისხს აბრალებს.

**„საქართველოში არის დემოკრატია,** აცხადებს დავით ბაქრაძე, **და აქციები დემოკრატიის ჩვეულებრივი ნაწილია. ეს არც პირველი აქცია იყო და, ეჭვი მაქვს, რომ არც უკანასკნელი იქნება. გვინახავს უფრო დიდი და უფრო მცირეც. ალბათ, მომავალშიც ბევრს ვნახავთ. ჩვენი ამოცანაა არა ის, რომ ვითვალოთ ადამიანები და ვაფასოთ აქციების მიხედვით პოლიტიკოსების ძალა, არამედ ის, რომ გავაგრძელოთ ქვეყანაში იმის კეთება, რაც ადამიანებს ცხოვრებას გაუადვილებს და მათ ქუჩაში გამოსვლის საჭიროებას მოუხსნის“.**

ალღო არ ღალატობს პარლამენტის სპიკერს, სწორად მიხვდა, რომ მთავრობა მომავალშიც, ალბათ, ბევრს ნახავს მსგავს აქციებს, მაგრამ რადგან დემონსტრანტთა დათვლა ეზარებათ (მაშინ კარგად ითვლიდნენ, როცა მიშნაცების მხარდასაჭერად გამოდიოდნენ?!ძ, იქნებ მთავრობის იმ ნაღვაწის შედეგები მაინც დაითვალონ, რომელთა წყალობითაც ამ ადამიანებს ცხოვრება გაუადვილდებოდათ და, როგორც თავად ამბობს, „ქუჩაში გამოსვლის საჭიროება მოეხსნებოდათ“.

ვისაც უნდა დავენიძლავები, რომ ნაცები ამ შედეგებს ვერასოდეს დაითვლიან. ვერ დაითვლიან იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ასეთი შედეგები ცხოვრებაში რეალურად არ არსებობენ. თვით სამყაროს ისეთ გრძნეულ ვირტუალსაც კი, როგორიც სააკაშვილია, ძალიანაც სურს, მაგრამ **დღემდე ვერ აუხსნია, როგორ მოხდა, რომ ეკონომიკურად აყვავებულ საქართველოში მხოლოდ ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ოჯახები ცხოვრობენ მოყირჭებულად, დანარჩენები კი სიდუხჭირეში იხრჩობიან. გვინდა, ყველა ოჯახმა იგრძნოსო ჩვენი სასწაულმოქმედი რეფორმების სიკეთე, აცხადებს ხალხზე ზრუნვით ნაადრევად გაჭაღარავებული პრეზიდენტი, მაგრამ იმას აღარ ფიქრობს, თუკი საკუთარ მუცელს ვერაფერს მოარჩენს, ღარიბებს ვინ რას მიაშავებს?!**

ამ მარტივი ჭეშმარიტების გაგება არ სურს სააკაშვილს და თავის ყოველდღიურ სატელევიზიო სპექტაკლებში, რომელშიც მთავარ როლს თავადვე თამაშობს, წარამარა „გვაბოლებს“: დღესვე თუ არა, ცოტაც გვაცალეთ და ამ რეფორმების სიკეთეს ხვალ უკვე ყველა ოჯახი იგრძნობსო. რეფორმების სიკეთეზე რა მოგახსენოთ, მაგრამ თითოეული ოჯახი მთავრობის სატარიფო პოლიტიკის „სიკეთეს“ რომ კარგა ხანია გრძნობს, ამას კი წყალი არ გაუვა. ხელისუფლება, როგორც ჩანს, პროტესტანტებთან ერთად ვერც კომუნალური მომსახურების სატარიფო პოლიტიკის შედეგებს ითვლის, თორემ ასე გულარხეინად ვერ იქნებოდა. სამაგიეროდ სპეციალისტებმა და ექსპერტებმა დაითვალეს ეს შედეგები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 2004 წლიდან მოყოლებული (მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში ნაცები მოვიდნენძ კო-



მუნალური გადასახადები ქვეყანაში სულ მცირე 3-4-ჯერ მაინც გაიზარდა(!ძ.

დავიწყოთ წყლის გადასახადით. ყველას მშვენივრად ახსოვს, მთავრობა როცა „თბილწყალს“ უცხოელ ინვესტორზე ასხვისებდა, როგორი მსუქანი დაპირებებით გვაპურებდა. მალე დარწმუნდებით, მომსახურების ხარისხიც გაუმჯობესდება და წყლის ტარიფიც საგრძნობლად შემცირდებაო. ისე მერიის თავკაცებს აუხდეთ ყველა ოცნება, როგორც ეს დაპირებები ხალხს აუხდა – 2003 წლიდან მოყოლებული, დღემდე წყლის ტარიფი ბარე 165 პროცენტით მაინც გაძვირდა. **„ვარდების რევოლუციამდე“ წყლის გადასახადი თბილისელთათვის თუ თვეში 1,20 ლარი იყო, ახლა ის 3,15 ლარამდე გაიზარდა.**

ამავე პერიოდში ორჯერ გაიზარდა გაზის გადასახადიც, 2006 წლამდე თუ 1 კუბმეტრი გაზი 26,5 თეთრი ღირდა, **2006 წელს 34,2 თეთრამდე გაძვირდა, 2007 წელს კი – 51 თეთრამდე და არავინ უწყის, სამომავლოდ კიდევ რამდენს მოიმატებს.**

ხელისუფლებაში ნაცების მოსვლამდე ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ფასი 10,15 თეთრი იყო. მთავრობამ, როგორც ჩანს, დენზე გადასახადი ეცოტავა და მომდევნო პერიოდში ის მთელი 70 პროცენტით გააძვირა. ხალხს გაზრდილი ტარიფის გადახდა რომ არ გასჭირვებოდა, მთავრობამ წინასწარვე „იზრუნა“ და გადასახადი საფეხურებად დაყო. ამის წყალობით, **ახლა ის აბონენტი, რომელიც თვეში 100 კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას მოიხმარს, 1 კილოვატში 13,5 თეთრს იხდის, ვინც 300 კილოვატამდე ხარჯავს – 16 თეთრს, ხოლო ამაზე მეტის მომხმარებელს 1 კილოვატი ენერგია 17,7 თეთრი უჯდება.**

დენის ტარიფის საფეხურებად დაყოფას ექსპერტები მსოფლიოში უპრეცედენტო „წარმატებად“ მიიჩნევენ, ხოლო იმას, რაც თბილისის მერიამ დასუფთავების გადასახადთან დაკავშირებით გააფრინა (იგულისხმება ამ გადასახადის ელექტროენერგიის ტარიფზე მიბმაძ – მთელ დუნიაზე ჯერარგაგონილ ფაქტად. რაღა თქმა უნდა, ქალაქის თავმა გიგი უგულავამ ეს გაუგონარი შემთხვევაც გაჭირვებულ თბილისელთა „მდგომარეობის შემსუბუქების“ სურვილით ახსნა. ვისაც ფინანსურად უჭირს, ჩემო ბატონო, ის მომჭირნედ მოიქცევა, ნაკლებ ელექტროენერგიას დახარჯავს და ნაგვის გადასახადიც რაღაც გროშები ექნებაო – ასეთი იყო თბილისის თავკაცის ლოგიკა, რამაც ხელმოკლე თბილისელებს ფაქტობრივად ცივ ზამთარში სიბნელეში ჯდომისა და გათოშვისკენ უბიძგა.

ჰოდა, ასეთი „მოამაგე“ მთავრობისგან, როგორ ფიქრობთ, რას უნდა მოელოდეს ხალხი სამომავლოდ? რაღა თქმა უნდა, კარგს არაფერს. ამის დასტურია ამ დღეებში გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ექსკლუზიური ინფორმაცია. როგორც ეს გამოცემა იტყობინება, საქართველოს მთავრობამ 2011 წელს რუსულ „ინტერ რაოესს“ ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულებით, უფლება მისცა მის საკუთრებაში მყოფი „ხრამჰესის“ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი 6 თეთრით გააძვიროს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2014 წლიდან ელექტროენერგიის ტარიფი 20-22 თეთრამდე გაიზრდება(!ძ.

ნაცების მთელ ამ ნაღვაწ-ნაცოდვილარიდან კარგად ჩანს, რა უნარ-კალიბრის მთავრობაც გვყავს, ამიტომაც ამ დღეებში გავრცელებულმა ინფორმაციამ ბიძინა ივანიშვილის მიერ „თელასის“ შესყიდვისა და დენის ტარიფის 6 თეთრამდე გაიაფების შესახებ, გაჭირვებულ მოსახლეობას კომუნალური გადასახადების ტვირთის შემსუბუქების იმედი გაუჩინა. სპეციალისტების განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფში „თელასის“ წილი კატასტროფულად მაღალია – 8 თეთრი. ეს მაჩვენებელი 4-5 თეთრითაც რომ შემცირდეს, მოსახლეობა ნამდვილად ამოისუნთქავს. ეს არ გახლავთ ივანიშვილისეული ოცნება, როგორც ეს ჩვენს მატყუარა და ტარაბუცა ხელისუფალთ ეჩვენებათ. ქვეყანაში კატასტროფულად გაზრდილი ტარიფების შემცირების რეალური შანსი ნამდვილად არსებობს და ეს სწორედ ოქტომბრის არჩევნებით მოსულმა მთავრობამ უნდა გააკეთოს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ისევ აქტუალური?

# ერთპარტიულობის პრიორიტეტი

**საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკური შეხედულების თავისუფლება და რომელიმე პარტიაში გაწევრება კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული. ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის 26-ე მუხლში წერია, რომ „ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში“.**

აქვე ისიც არის ნათქვამი, რომ „პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას“ და გასაგებია, ეს გადაწყვეტილება რატომაც არის მიღებული: ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ შეიძლება, პირი რომელიმე პარტიისადმი იყოს მიკერძოებული.

სხვა საკითხია, ეს რამდენად სრულდება და ამ კატეგორიის ხალხი რამდენად არ არის პოლიტიკურად მიკერძოებული. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ კონსტიტუციით პოლიტიკური პარტიის წევრობა საქართველოს მოქალაქეების უფლებაა და ჩამოთვლილი კატეგორიის გარდა, ყველას, მათ შორის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება შეუძლია. ვიმეორებთ, ეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა და ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმა, წერილობითი თუ ზეპირი ბრძანება, რომელიც კრძალავს ადამიანის ამ უფლებას, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

Presage.tv-სთვის კი ცნობილი გახდა, რომ საჯარო სამსახურებში დასაქმებულ ადამიანებს პარტიებში გაწევრებას უკრძალავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სამსახურების დატოვება მოუწევთ.

რა თქმა უნდა, აქ საუბარია კონკრეტულად ივანიშვილის კოალიციაზე, თორემ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრობისთვის რომ არავინ არავის გაათავისუფლებს, ცხადია.

როგორც ეს ადამიანები ამბობენ, მათ აფრთხილებენ, რომ ზოგადად, პარტიის წევრები არ უნდა გახდნენ, რაც თავის მხრივ კონსტიტუციის უხეში დარღვევაა და მეორე, ამ სამსახურებში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია, „ნაციონალების“ აქტივისტებად ითვლებიან, მაგრამ ამის გამო, მათ სამსახურიდან არავინ ათავისუფლებს. ამიტომაც ადვილი მისახვედრია, რომ ეს მხოლოდ ივანიშვილის კოალიციას ეხება.

იმის გამო, რომ ბრძანება ზეპირია, ოფიციალურად ამის დამტკიცება ძნელია. მაგრამ თუკი იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ პედაგოგებს სკოლებიდან არათუ მათი, არამედ ოჯახის წევრების პოლიტიკური შეხედულებების გამო ათავისუფლებენ, რაზეც რამდენიმე დღის წინათ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ამ ადამიანებმა თავად ისაუბრეს, ადვილი დასაჯერებელია, რომ ეს ვითარება იქნება სხვა უწყებებშიც.

ეს ყველაფერი საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუციის დარღვევაა, რომლის დაცვის გარანტი, წესით, თავად სახელმწიფო უნდა იყოს.

სახელმწიფოს კონკრეტული ჩინოვნიკების მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაუსჯელი რომ რჩება, მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ეს სახელმწიფო პოლიტიკაა და ეს გადაწყვეტილება ქვეყნის მმართველი პირების მხრიდან მოდის. შესრულება კი, როგორც ჩანს, არც ისეთი „პროფესიონალურია“, რომ საზოგადოებისთვის გაუგებარი და ეჭვმიუტანელი დარჩეს.

ცხადია, ასეთი რამ არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება და ადამიანს სამსახურიდან პოლიტიკური შეხედულების, თუ რომელიმე პარტიის წევრობის გამო სამსახურებიდან არ ათავისუფლებენ. ამიტომაც საინტერესოა, უწყებათაშორისი კომისია, რომელმაც ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების პრევენცია უნდა მოახდინოს, ამ საკითხზე თუ მოახდენს რეაგირებას. ბოლოს და ბოლოს, ერთპარტიული სისტემა საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ თუ კიდევ აქტუალური იქნებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო.

**თეონა ხარაბაძე**

## ინფორმაცია



### უნარშეზღუდული ბავშვების მშობლები სოციალური დახმარების გაზრდას მოითხოვენ

**უნარშეზღუდული ბავშვების მშობლები სოციალური დახმარების გაზრდას და სამედიცინო დაზღვევის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ. ამ მოთხოვნებით რუსთაველის ძეგლთან სიმბოლური აქცია გაიმართა, რომელსაც უნარშეზღუდულ ბავშვებთან და მათ მშობლებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების – მზრუნველი მშობლები ინვალიდი ბავშვებისთვის, „ლაბორატორია 1918“-ის და „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ წარმომადგენლები შეიკრიბნენ.**

**აქციის მონაწილეების განცხადებით, რაც დღეს უნარშეზღუდულების დაცვასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებით ცხადდება, სრული ილუზიაა, რეალურად კი ისინი უმძიმეს მდგომარეობაში არიან. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან არ ეძლევათ ფსიქოტროპული მედიკამენტები, რომელთა უფასოდ გაცემას სახელმწიფოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ავალდებულებს, მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაც არ ყოფნით 70-ლარიანი სოციალური დახმარება და გარდა ამისა, ვერ იყენებენ დაზღვევას, სადაც გარკვევით წერია, რომ ქრონიკული დაავადებების მკურნალობა სახელმწიფოს მხრიდან არ ფინანსდება.**

**ინტერპრესი**

ახალი ფოლკლორი



## დათუთქულ გულის ნამღერი

ჩვენო ვაიპრეზიდენტო,
არ ჰგავხარ კეთილ კაცსაო,
ხალხს ამშევ, ქვეყანას ჰყიდი,
გამსგავსებ შაჰაბაზსაო.

უცხო ქვეყნებში დადიხარ,
მათ სილამაზეს სახავო,
შემოუარე შენს ქალაქს,
რამდენ ღარიბ ქოხს ნახავო.

გაჭირვებული ქალები
ცაში ოცნებით ქრიანო,
ახალ გაჩენილ შვილებსა
ნაგვის ბუნკერში ყრიანო...

დაცარიელდა სოფლები,
დაგვიღატაკდა გლეხიო,
არც ქათამი ჰყავს, არც ღორი,
თავს დასცემია მეხიო.

უმუშევარი კაცისთვის
ყველაფერი აუგია,
ავტობუსში ვერ ჩამჯდარა,
ბილეთი ვერ აუღია.

ბაზარში შეხვალ, რა ხდება!..
ერთს კიდევ გეტყვით ავსაო, –
ყველა წონაში გატყუებს,
ვაი ჩვენს მოსწრებასაო.

სადაც გინდა გაიხედო,
გაჭირვებულს ყველგან ნახავ,
შადრევნები რას გვიშველის,
თუ შვილებს ვერ შევინახავ.

საწყალი პენსიონერი
მწარე ღიმილით გხვდებაო,
ისე შეხვდება ახალწელს,
ხორციც კი არ ექნებაო.

შენი ტყუილი საუბრით
ქვეყანა ააყვავეო,
სამშობლოს ტოვებს ქართველი,
სხვა ერი გაახარეო.

გადაგვიგვარდა სამშობლო,
თავები გვიდევს კუნძზედა,
თვითმკვლელობაში პირველნი
გამრავლებით ვართ ნულზედა.

ღვინის ჯამებსა მაგრად სცლი,
შენი ცხოვრება დიდია,
მშიერი ხალხის ცხოვრება
მართლაც ფეხებზე გკიდია.

გეტყობა, სულ არ გაწუხებს
ჩვენი დარდი და ნაღველი,
ნუთუ დაყრუვდი, არ გესმის
დათუთქულ გულის ნამღერი!?.

სახალხო მთქმელი
**თინა ცალქალამანიძე,**
კასპის რაიონი

ვაიმე, ენავ

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

# არაეგზისტენციალური შენიშვნები

„საქართველოს ისტორიის“ წინა ტომებს ენობრივად ნამდვილად სჯობს მეოთხე წიგნი, თუმცა აქაც საკმაო ხარვეზი შეინიშნება. კვლავ და კვლავ გრძელდება კალკების გამოყენება. გვაქვს „დიდი როლი ითამაშა (283 და სხვ.); „ადგილი ჰქონდა“ (288, 300, 338, 450, და ა. შ.); „იგი გამოიხატებოდა... მანიფესტაციებში“ (286 და სხვ.); „პირველ რიგში“ (304 და სხვ.); „ამაში არ იგულისხმება“ (305). ეს უკანასკნელი ჩვენებურად ასე უნდა გამოიყურებოდეს: „ეს არ გულისხმობს“...

ტექსტი დამძიმებულია თანდებულთა ტავტოლოგიით: „კახელებთან და მთიელებთან“ (25); „საქართველოში და ამიერკავკასიაში (280); „გორში და სხვა ქალაქებში“ (329); „გარდაქმნასთან და სხვა ფაქტორებთან“ (336); „შტაბთან და სარდლობასთან“ (385 და ა. შ.).

ჩვეულებრივია ორთოგრაფიული წუნი. წერია: „წასწია“ (5). უნდა იყოს „წაწია“; გვაქვს „წამოსწიეს“ (33). უნდა ყოფილიყო „წამოწიეს“; არის „აეძულებინათ იგი“ (36). უმჯობესია „იძულებული გაეხადათ იგი“; არის „დედა-სამშობლო“ (79). უნდა გამოესახათ ერთ სიტყვად – დედასამშობლო; უწერიათ „ორლესილი მახვილი“ (93). უნდა იყოს „ორლესული“; „ჭარბობდა“ (98) კი არა, „სჭარბობდა“; „ხეტყის ქარხნები“ (97) კი არა, „ხეტყის ქარხნები“; „პასუხობდა (102, 114, 361) მცდარია. სწორი ფორმაა „უპასუხებდა“.

სიტყვათა შეხამებებში (სინტაგმებში) ხან რიცხვია დარღვეული, ხან – ბრუნვათა შეთანხმება: „ასეთივე ხასიათს“ (21) კი არა, „ასეთსავე ხასიათს“; „ყველა... გამოსვლები“ (74) მცდარია. მართებულია „ყველა... გამოსვლა“.

სტილისტური უმწეობის ნიმუშად გამოგვადგება წინადადება: „იგი დარწმუნებული იყო, რომ მიწა აუნაზღაურებდა იმ შრომასა და ხარჯს, მის გასანაყოფიერებლად რომ გასწია“ (76). აქ წინა „რომ“ უნდა აგვერიდებინა. საამისოდ „იყო“ ზმნის შემდეგ უნდა დაგვესვა ორწერტილი; თანაც არა „გასწია“ (ერთპირიანი ზმნა), არამედ „გაწია“ (ორპირიანი ზმნა); მეორე წინადადება უარესია: „ყველა სამუშაოები სრულდებოდა დაქირავებული მუშა-მოსამსახურეების მიერ“ (95). აქ ორი მძიმე შეცოდებაა. ჯერ ერთი, „ყველა სამუშაოები“ კი არა, „ყველა სამუშაო“; მეორეც, „მიერ“ პარაზიტი სიტყვაა და ამად არის არადსაღირალი. ის ფრაზას მოუქნელსა ხდის. უფრო სხარტად და მოქნილად თქმაც შეიძლება: „ყველა სა-



მუშაოს დაქირავებული მუშა-მოსამსახურენი ასრულებდნენ“; ერთგან არაერთგზის არის განმეორებული რუსული ყაიდის თქმა: „მიწის გირაოს ქვეშ“ (99). აზრი უნდა გამოხატულიყო ქართულ ყაიდაზე: „მიწის გირაოთი“, „მიწის გირაოს წესით“; ერთმანეთშია არეული წარმოება (პროცესი) და საწარმო (ადგილი, სადაც წარმოების პროცესი მიმდინარეობს, ქარხანა, ფაბრიკა). ამიტომაც წერია: „წარმოებაში დარჩენილი მუშები (110), მაშ, უნდა იყოს „საწარმოში (საწარმოებში) დარჩენილი მუშები“; ანარქიასთან საბრძოლველად“ (116) კი არა, არამედ – „ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად“; რთულ-ჩახლართულია: „ამზადებდა წინამძღვრებს კოლექტივიზაციისათვის“ (300). შეიძლებოდა ჩაუხლართავად, მსუბუქმქროლად: „კოლექტივიზაციის წანამძღვრებს ამზადებდა“; კიდევ უფრო ჩადომხალებულ-ჩაბალასინებულია ეს ფრაზა: „მკაცრი სინამდვილე კი ყველაფერ ამისაგან განსხვავდებოდა“ (47). ჯერ ერთი, არა „ყველაფერ ამისაგან“, არამედ – „ყველაფერი ამისაგან“, მაგრამ სტილისტურად უფრო სწორი და მარჯვეა – „ყოველივე ამისაგან“.

არც პუნქტუაციის ნორმებია დაცული. ჩართული უფრო ხშირად მძიმეებით გამოყოფილი არ არის: რა თქმა უნდა (21, 103). სამუქფოდ, ნაწილაკი „აგრეთვე“ (იგივეა, რაც „ც“) მძიმითაა გამოყოფილი (50); „ერთი მხრივ“ (70)გამოუყოფელია; ერთგან წერია: „იგივე, თავისი არსით სტიქიური მოვლენა იყო“ (70). „თავისი არსით“ ჩართული როდია და მას გამოცალკევება არ სჭირდება; ერთგან წერია: „ქართველიც და სხვატომელი გლეხიც, საკუთარ მიწაზე გაცილებით მუყაითად შრომობდა“ (76). აქ ორი შეცდომაა. ჯერ ერთი, მძიმე არადსაღირალია; მეორეც, ნაწილაკი „ც“ ორივეგან არ უნდა ყოფილიყო. მაშ, ასე: ქართველი და სხვატომელი გლეხიც...

აღსანიშნავია, რომ „ანუ“ კავშირის წინ ხშირად (303) არ არის მძიმე, ზოგან – დასმულია. ტომეულთა რედაქტორებს მივუთითებ: „ანუ“ და მისი ასაბიის წევრი სიტყვები წინ და უკან ყოვნის ნიშნებს საჭიროებს.

ვგონებ, ერთგან ფაქტობრივი შეცდომა გაჰპარვიათ. წერია: „ხევსურთა თავადების წყალობით“ (27). რამდენადაც მე ვიცი, ხევსურებს თავადები არასოდეს ჰყოლიათ; ფაქტობრივი შეცდომაა, როდესაც ნოდარ დუმბაძის ტექსტები მიჩნეულია „პოეტურ პროზად“ (480). არა, ბატონო, პოეტური პროზის ოსტატნი არიან ვასილ ბარნოვი და კონსტანტინე გამსახურდია. ნოდარ დუმბაძე წმინდა წყლის რეალისტი პროზაიკოსია; ფაქტობრივ შეცდომად მიმაჩნია ისიც, რომ იგივე დუმბაძე გამოცხადებულია ეგზისტენციალისტად (480).

ასეთია ჩემი არაეგზისტენციალური შენიშვნები, რომლებიც „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის ენასა და სტილს შეეხება.

ალმანახი

# ლიტერატურამ დიალოგი დაიწყო!

**კავკასიურმა სახლმა სამხრეთ კავკასიელ მწერალთა ალმანახის მეორე წიგნის წარდგინებას უმასპინძლა. პირველ ალმანახში თავი მოიყარა სამხრეთ კავკასიის ყველა რეგიონის მწერლების ნაწარმოებებმა. „უკანასკნელ ათწლეულებში კავკასიის ხალხების ლიტერატურა ფაქტობრივად ერთმანეთს მოწყდა, ვიმედოვნებთ, რომ ალმანახი ამ კავშირებს აღადგენს“, – გვამცნობს წინასიტყვაობა. ამ მიზანს ემსახურებოდა ალმანახის წარდგინებაც კავკასიურ სახლში, სადაც საგანგებოდ ჩამოვიდნენ აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლები.**



მწერალი გურამ ოდიშარია 1997 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში სახალხო დიპლომატიის ეგიდით. უამრავ შეხვედრაში და ერთობლივ პროექტში ჰარმონიულად მუშაობდნენ. ამ შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ ხელოვნება, კულტურა და ლიტერატურა დიალოგის პროცესში ჩაებათ.

იმ პერიოდში აფხაზეთში გურამ ოდიშარიას მოთხრობები უკვე აქტიურად იბეჭდებოდა. დაიბადა იდეა ერთ წიგნად გამოცემულიყო ომის განცდები, ის, რაც ქართველებმა და აფხაზებმა გამოიარეს იმ საშინელ წლებში. ამას მოჰყვა ალმანახის გამოცემაც. **„მასალების შეგროვება ყოველთვის შეიძლება ინტერნეტით, მაგრამ ჩემი და აფხაზი კოლეგების ინიციატივა იყო კარდაკარ, სოფელ-სოფელ გვევლო, ჩავედით ბაქოში, სადაც სომხეთიდან დევნილი აზერბაიჯანელები ვნახეთ სადღაც მეორასე კილომეტრში, შემდეგ წავედით სომხეთში, იქაც შევხვდით დევნილებს – მწერლებს, მხატვრებს. მერე მთიან ყარაბაღში გავესაუბრეთ ადამიანებს. პარალელურად იმ ადამიანებს ვეცნობოდით, რომლებიც ომზე წერდნენ. დაახლოებით 60 მოთხრობიდან 27 შევარჩიეთ. ხარისხთან ერთად საინტერესო იყო დამოკიდებულება – არ უნდა ყოფილიყო აგრესიული მოთხრობები, არამედ – განსჯა ადამიანის ბედზე, რა გადაიტანა ადამიანმა, მნიშვნელობა არა აქვს მის ეროვნებას – აფხაზი იქნება, ქართველი, ოსი, აზერბაიჯანელი...გასაჭირი ყველას ერთი ჰქონდა. აზერბაიჯანელები, იგივე სომხები გაოცებულნი იყვნენ, ქართველები და აფხაზები მტრები არიან და ერთად მოდიანო. მათთვის ჩვენ მაგალითი ვიყავით. მთელი პროცესი, რაც ალმანახის გამოცემას წინ უძღოდა, ჩვენ ვაქციეთ მშვიდობისმყოფელობის პროცესად...“** – გვითხრა გურამ ოდიშარიამ.

ალმანახის პირველი წიგნი 10 ათასი ტირაჟით დაიბეჭდა, მეორე – 6-ათასიანი ტირაჟით. ალმანახი ვრცელდება მთელს სამხრეთ კავკასიაში. ადამიანები გულისყურით კითხულობენ. ალმანახმა მიზანს მიაღწია – ეს თანაგრძნობა უკვე არსებობს...–ითქვა წარდგინებაზე.

წარდგინებას ესწრებოდნენ ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაციის „ინტერნეიშენალ ალერტის“ წარმომადგენლები ჯულიეტ სკოფილდი, ნარგიზა საპიდონოვა. ალმანახის ორივე წიგნი ამ ორგანიზაციის და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

ალმანახის რედაქტორები არიან **ბატალ კობახია** (სოხუმი) და **გურამ ოდიშარია** – სოხუმიდან დევნილი მწერალი. წარდგინებაზე ჩამოსულნი იყვნენ მწერლები აზერბაიჯანიდან: **ელჩინ ჰუსეინბეილი, ელიზ გიასი, ელხან ზალი,** ხოლო სომხეთიდან: **ვარდან ხერეშტიანი, ტაიშა აზელიარი, ჟანა კრიკოროვა.**

კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ ლიტერატურა ამ ადამიანების სულიერი მოთხოვნილებაა. ვინც ალმანახში დაიბეჭდა, ცნობილი მწერლები არიან, რომელთაც საკუთარი მკითხველი ჰყავთ. ალმანახი ადამიანებს ეხმარება იმ სივრცის შექმნაში, სადაც უნდა ილაპარაკონ. ეს არის მშვიდი, შემეცნებითი სივრცე, სადაც ერთმანეთს უნდა ვესაუბროთ და მშვიდობის დამყარებას შევუწყოთ ხელი, – ასეთი იყო შეხვედრის მრწამსი.

**თამარ შაიშმელაშვილი**

აჩემება

# ნუ დავაგონჯებთ დედაენას!

## გურამ დოჩანაშვილი არ იშლის ჩვეულ აჩემებას

შიში შეიქმს სიყვარულსაო! – გვიანდერძა ბრძენმა შოთამ. ჩემი მოკრძალებული დაკვირვებით, შიში სიძულვილსაც შეიქმს, თურმე. სიძულვილს იმ პატივდებული გვამის (როგორც ძველად იტყოდნენ ხოლმე) მიმართ, რომელიც აშკარად გირყვნის, აბუჩად გიგდებს, ჯალათის ნაჯახით უწყალოდ გიჩეხს უსაყვარლესს საყვარელთა შორის – დედის სადარ დედაენას. თანაც, უფრო შემაშფოთებელი რა უნდა იყოს, როცა ამას სჩადის ერთდროს შენი მეგობარი მწერალი, რომელიც თვალსა და ხელს შუა გადაგვარდა და, თავადაც დაბეჩავებული „მზრუნველად“ აბეჩავებს გვირგვინმოკიაფე ენას – ქართულს. ეტყობა, დავიწყნია, რომ ენა „საღმთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“; მამულს, ენასა და სარწმუნოებას „თუ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ ილია იქვე გვაუწყებს, რომ მშობელ მამასაც არ დავუთმობდი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებასო და გამაფრთხილებლად დასძენს – ქართული ენის განხილვა მკითხველის ნებააო (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. V. თბ., „მეცნიერება“, 1991 წ., გვ. 30).

მეც ვისარგებლე მკითხველის ნებით და ჯერ კიდევ 2006 წლის 17 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№116, გვ. 6 და 11) ღამის გათენების დამჩემებელი მამალივით ვიყივლე და ღია წერილით მივმართე გურამ დოჩანაშვილს „თქვენ თუ წაიკითხავდით ასე დაწერილ სხვის მოთხრობას?“ რუბრიკად კი წავუმძღვარე – „პირკატაცემული მკითხველის ელდა“.

პასუხი არც მე მაღირსა და არც შეცბუნებულ საზოგადოებას; სამაგიეროდ, გამებუტა და დღემდე უბრადაა ჩემთან.

მერე და მერე, მაინც რომ არ მოიშალა თავისი უგბილი აჩემება, ბატონმა მურმან თავდიშვილმა (ცნობილმა კრიტიკოსმა, რუსთველოლოგმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა), დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატმა) დაუზოგავად შეუტია მოლიპულ გზაზე ავზედითად მორიალე მწერალს (იხ. გაზ „ასავალ-დასავალი“, 2009 წ., 25-31,05, №21, გვ. 9), რომელიც სათაურშივე („მ. სააკაშვილმა სახელმწიფო ტერიტორიები დაგვაკარგვინა, გ. დოჩანაშვილი ენობრივ ტერიტორიებს გვაკარგვინებს!“) გამჟღავნდა. ბრწყინვალე წერილის ფინალური სტრიქონები კი პირდაპირ მომაკვდინებელი გახლდათ კადნიერი ავტორის მიმართ: „მაშ, რაკიღა მწერალმა ხელი აიღო ჭეშმარიტ ქართულზე, ჩვენი ეროვნულობის დედაბურჯზე, ჩვენც გვმართებს, ამგვარ მწერლებსა და მწერლობაზე ხელი ავიღოთ და გულიდან ამოვირეცხოთ“.

მაგრამ რა, ისევ კედელი და ცერცვი... შედეგი: უფრო გაავდა დოჩანაშვილი და მეტი ინტენსიურობით იკისრა მშობლიური ენის ჯალათობა. მანამდე და მერეც დაიწერ-დაისტამბა კიდეც მისი მორიგი ოპუსები: „ლოდი ნასაყდრალი“, „გივიზე“, „ლუბა-ვ ჩემო სიყვარულო“, „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდი“... ყველას ვერ ჩამოთვლი და არცაა საჭირო. ამჟამად კი იბეჭდება მისი ახალი რომანი „კაცი, სახელად ნოე“ – წინა ნაწარმოებთა ტყუპ-სწორი და სარზიელზე დაუბრკოლებლად გამოჭენებული.

ზედმეტად რომ არ შევაწუხო მკითხველი, რომანის მხოლოდ VI თავიდან მეჩხრად ამოკრებილ ენობრივ „სამკაულებს“ დავჭერდები.

აი, როგორია ამ რომანის ორთოგრაფიის, სიტყვათწარმოქმნისა და კომპოზიტთა ხელოვნურად შექმნის „ხელოვნება“:

**თვიით; ჰზრუნავდა; ჰზრუნავჰდა; რაჯახნაზას; უგასაგებო ენებითაა; მაშვინ; ინტყტყვიანნ ჩვენსზედ; ნწრფელინღსოფლად; რადგან ხოლოკი ესკი ანდაზებიკიკი; დაველაპარაკებით პირიდან შიგპირში; მოამაგებზებები; კიარ; დემონკრატიასაც დაარღნრევენ; მამლისებრ კრკრყილიყოოო; ისეძაან; კიდეჰო; გაიფიქრავა; ოდნავსაკმაოდც; საგამოსასვლელო სამოსელი; თქვეშენე; გადანცვიფრდა; სიტყვების მეტი რაყრია პირსში; უიჰო, მეცნიერულობებობანი; სასამართალდამცავოებნი; სჩადიანა და კიცჩაიდენენ მერეცდამერეც; წინასწარულად; სხვადასხვაურად; არაქათებზგამოცლილი; პეტუხობობანებეებებები; გაიკვირვავა; გამოღვიძების მთლადაც-თანავე...**

როგორ მოგწონთ, ჩვენო ყურთბალიშებზე ნებივრად მილულულნო კრიტიკოსნო? განა რა, თქვენ არ გჭრით ყურს ეს ყურთასმენის წამღები ყურპანტურობა, ყურით რომ მოუთრევია უკვე შვიდტომეულით გადიდგულებულ და მრავალი ჯილდოს მტვირთველ „რჩეულს“? ნუთუ თქვენთვის არ არის ყურადსაღები ასეთი გამქირდავი უგუნურობა? ნუთუ ყურწამოყრუებულებმა უნდა იყურყუტოთ და სმენა დაიხშოთ შიშით ყურებჩამოყრილებმა? ძვირფასო კრიტიკოსნო, რამ შეგაშინათ – სიყვარულმა თუ სიძულვილმა?



აჰა, კიდევ ინებეთ საგულისხმო და ჭეშმარიტად „ქართულენოვანი“ წინადადებანი:

**მთელი თავისი იმაპირისახით უხაროდა; მე დედიჩემისას შვილი კი არა ვარ, არამედ დეიდაჩემისასი; ჰო, იმას ვამზობდი რო იშაკა-სი სმენისაათვინ ძალიანც-რო რა რარიგ ამო ხმაურითა და იმისი (იშაკასი) ყურთა ზარაზნებისათვი ისი მფეთქვადი-მაგრა, ხმები; ძლიერ-დიდათა ჰსიამოვნებდდა-ათავშესაქცევარებდ-ათავშესაქცევრისებდა, მას; არა გვტყვანვან კი; არამედ პრეზერვატივიზაციაშიო თუ რასეძახიან იგოთურანი ნასწავლებლები...**

როგორ მოგწონთ, ენის კანონთა შემდგენ-დამდგენნო, ეს ჩიქორთული, ენამოჩლექითაც კი რომ არ უსაყვედურებთ, რბილად მაინც, ავყიად მეტყველ მწერალს? რამ დაგადუმათ და გაგიშროთ ენა? რატომ აპატიებთ ყოველივე ამას ენამრუდს, ენაბილწს, ენამყრალს, რატომ ესათნოებით შეფარვით, რიდით?

პროფესიით ექიმსა და მოწოდებით პროფესიონალ მკითხველს რომ წავაკითხე გ. დოჩანაშვილის სამარცხვინო ნაშემოქმედარი, არც მეტი, არც ნაკლები, ასე მომისამძიმრა – გაგიჟებულა საცოდავიო!

არ ვიცი, მე ექიმი არ გახლავართ და ვერ დავსვამ ასეთ თამამ დიაგნოზს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ დოჩანაშვილმა დიდი ძალისხმევით შეიმუშავა ქართული ენის დამხობისა და განიორწყლების რეცეპტი, რომელსაც პროკრუსტეს შეუპოვრობით გვაჩეჩებს.

ენაბილწი და ენამყრალი ვახსენე წეღან. მიზეზიც მქონდა. ა. ბატონო, იხილეთ:

**მაგგოთურნების; არახსწორადაც ნიფხავჩახდილები; შენითქვენი; კარქა-სქელი ტრაკით („საჯდომი“-ისგან უშუალოდ უშუალოი სიტყვა-გამოთქმა თამამური არი ესა) ჯდებოდა; იგოთურანი; გოთვერანი და ჩათლახი; სუკა-ქალები; შენჩემო შეჩემის პადრევ; ჰაი მეკი მეთქვენი გვარში სუყველაგასათხოვარი-თქო; იმას რომოუ...**

ან თქვენ, პატივდებულო ჟურნალისტებო – პრესისა და რადიო-ტელევიზიის ბოსებო, აუწყველ მასალათა უხვად მომფენნო ქაღალდზეც და ეთერშიც, ნუთუ მოიწონეთ და გულში ჩაიხუტეთ მწერალ გ. დოჩანაშვილის ზნედაცემულობა თქვენივე დედაენის მიმართ?!

ან თქვენ – მოთავენო და მრავალი დილა-საღამოს მომწყობნო, წაგიკითხავთ კი გ. დოჩანაშვილის ბოლოდროინდელი ოპუსები, ცალყბად რომ შეჰღიმით და სიყვარულს ეფიცებით მათს ავტორს? გაგიაზრებიათ, რომ ყველა, ვინც საკმეველს უკმევს (თუნდაც ფორმალურად) ამ კალმოსანს, დაუძინებელი მტერია მშობლიური ენისა! თქვენი ხმაჩაკმენდილობით ხომ ურცხვად ხნავთ მამათა საფლავებს, ბოროტების დათესვას უწყობთ ხელს და მოიმკით კიდეც ურჩხულის კბილებს.

ახალგაზრდა თაობას რაღა ვუთხრა? ისინი ხომ ისედაც გულგრილნი არიან თანამედროვე ბეჭდური ლიტერატურის მიმართ! მაგრამ მოვუწოდებ კი: თუ ხელთ ჩაგივარდათ გ. დოჩანაშვილის ახალ-ახალი „მარგალიტები“, ნურც თქვენ წაიკითხავთ და ნურც სხვას წააკითხებთ!

რაც შეეხება საზოგადოების ხანშესულ წევრებს, მათ გულიდან უკვე მოიწყვიტეს გ. დოჩანაშვილის მავნე პროზა და რაღა გაფრთხილება სჭირდებათ!?

გამოჩენილი პედაგოგი, მეცნიერი და ყმაწვილთა გულის მესაიდუმლე იაკობ გოგებაშვილი გვმოძღვრავდა: „დედაენის დამკარგავ ხალხს მოელის დაქვეითება, დაცემა, აღმოფხვრა და გაქრობა!“ გიფიქრიათ კი ამაზე, ბატონო ქართველო მწერალო გურამ? გიფიქრიათ, რომ ამის ჩამდენი მიწყივ ჯალათია საკუთარი ენისა, კულტურისა, ხელოვნებისა, ტრადიციებისა, წეს-ჩვეულებისა, ეროვნულობისა? და ამ საშინელების აღსრულებას უწყობთ ხელს თქვენი ნაწერებით?!

გვიპასუხეთ! გვითხარით! თავი გაიმართლეთ! თუ შეგიძლიათ, რასაკვირველია! იქნებ კვლავაც გგონიათ, რომ ქარავანი მაინც მიდის!!! ან წისქვილმა კი ფქვასო? ეგრე არ არის, თაყაო! გაიგეთ, შეიგნეთ, რომ თქვენი ამჟამინდელი პროზა, ენის თვალსაზრისით, კიტრის ფასზე ბევრად იაფია, მანყულია! ასევე, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, ფუცხუა იგი, ე. ი. საგვემელი და სატანჯველი.

ახლა, როცა ძირძველი ქართული ჩვენს ქვეყანაში უტიფრად იზღუდება და ავად ჯაგარაშლილ ამერიკულ ინგლისურს ხელოვნურად აფეტიშებენ, თქვენ, ქართველი მწერალი, ურცხვად რატომ უწყობთ ხელს ამ ბინძური, ბედასლი, უნასი მოვლენის ასრულებას, თანაც ჯიუტად, ურიდლად, უბოდიშოდ, თავხედურად თქვენი წუნდებული, მანკიერი ლიტპროდუქციით! უწმინდური ძალა მოგრევიათ სწორედ, ასე რომ ასაჭურისებთ ღმერთების ენას. ამისთვის დაგწყევლით ერი, შთამომავლობა, ვითარცა წამრყვნელს სწორუპოვარი, სპეტაკწვეროსანი ქართული ენისა.

სიტყვა ადამიანთა ყველაზე ძლიერი იარაღია, მით უმეტეს – მხატვრული სიტყვა და ამას მტაცებ და მიბილწავ უკუღმართად, მწერალო? არ უნდა გრცხვენოდეს მაინც?

**გივი ბოჯგუა**

**P. S.** და მაინც მიბჟუტავს იმედი, რომ გურამ დოჩანაშვილი დაძლევს ზნედ ქცეულ ავადმყოფურ აჩემებას და დაუბრუნდება თავის პირველ წარმატებებს. ერთი ფაქტი მკარნახობს ამას: სულ ახლახან, გასული წლის 29 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიამ გვაზიარა საინტერესო გადაცემას „უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები“. გადაცემაში მონაწილეობდა გურამ დოჩანაშვილიც. მოხდა ცოდვების მონანიება – გურამმა უღალატა თავის ბოლოდროინდელ ახირებას და მშვენიერი, დარბაისლური ქართულით ესაუბრა საზოგადოებას.

სიხარულმა აღმავსო! ეგრე, ეგრე, რაღა! წერე ისე, როგორც ლაპარაკობ და ისევ შეგიყვარებენ და წაგიკითხავენ! წაგიკითხავენ, ამჟამად წაუკითხავო მწერალო!

ბ. ბ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ქემალიზმის ისტორია“ — 26 მაისს ქუთაისში გამართულ აღლუმზე თურქული დროშაც ფრიალებდა

**თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში ბათუმი თურქეთის ისტორიულ საკუთრებად გამოცხადდა. ამის შესახებ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძეს თურქეთის საკონსულოში მოღვაწე ერთ-ერთმა ქართველმა აუწყა, რომლის შვილიც თურქული სკოლის მე-11 კლასში სწავლობს. მოზარდმა სახლში მიიტანა წიგნი და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ თურმე ბათუმი თურქული ქალაქი ყოფილა. ამის შესახებ ბავშვის მამამ თავის ხელმძღვანელობას აცნობა, საელჩოც საქმის კურსში ჩააყენა, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. ამიტომაც შალვა ხაჭაპურიძეს, როგორც ოპოზიციონერს, ეს ინფორმაცია აცნობეს და ამის დამადასტურებელი წიგნიც გაუგზავნეს.**

საქმეს ისიც ართულებს, რომ სახელმძღვანელო თურქეთის ერთ-ერთი რიგითი კერძო სკოლისთვის არ დაბეჭდილა, არამედ იგი თურქეთის განათლების სამინისტროს მიერაა დამტკიცებული და, შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელია.

**კერძოდ, თურქულ სკოლებში მე-11-კლასელებს ასწავლიან, რომ თავის დროზე ქართველებმა დაიპყრეს ბათუმი და რიზე. მართალია, რიზე თურქებმა უკან დაიბრუნეს, მაგრამ თურმე ბათუმია დასაბრუნებელი.**

ბოლო დროს ბათუმის გამალებული თურქიზაციიდან გათვალისწინებით, ჩნდება ეჭვი, რომ ჩვენვე ხომ არ ვაიძულეთ თურქეთი, საქართველოსგან მიეღო ის, რაც აქამდე ვერ მიიღო?! ხომ არ დარწმუნდა თურქეთი, რომ აჭარაში ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, დაწყებული ბიზნესებით, დამთავრებული თურქული დასახელების მქონე არაფრისმთქმელი ქუჩის სახელწოდებებით?!

**Presage.tv** ამ საქმით დაინტერესებულ ადამიანებს ესაუბრა.

ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის თქმით, თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ უკვე 4-5 წელიწადია, გამოიცემა წიგნი, რომელსაც მე-11 კლასის მოსწავლეებს ასწავლიან. კერძოდ, **„ქემალიზმის ისტორიას“**, სადაც 24-ე გვერდზე განთავსებულია რუკა, აღწერილია პირველი მსოფლიო ომის შედეგები. არდასის ხელშეკრულების მიხედვით, თურქები აცხადებენ, რომ ბათუმი თურქეთის ტერიტორიაა და იგი ოკუპირებულია ქართველების მიერ.

**„ამას ასწავლიან ბავშვებს შესაბამისი ტექსტით, რომ ვინაიდან ქართველების მიერაა ბათუმი ოკუპირებული, ეს ტერიტორია უკან დასაბრუნებელია. არსებობს ყარსის ხელშეკრულება და ისტორიული დოკუმენტაცია, რომ ბათუმი საქართველოს ტერიტორიაა. არსებობს გაეროს კონვენციები, გაეროს სათანადო კომისიები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ხელისუფლებამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა განახორციელოს სათანადო ღონისძიებები, დიპლომატიური ურთიერთობის გამოყენებით, რომ ეს ვითომდა „შეცდომა“, აღმოიფხვრას, რადგან, თუ ეს ასე დარჩება, ჩვენ ამ მოკლე პერიოდში ძალიან ცუდ ამბებს უნდა ველოდოთ უკვე აჭარის ტერიტორიაზე“,** — აცხადებს ადვოკატი და დარწმუნებულია, რომ, ვინც ეს გააკეთა, ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა.

**„წიგნი უშუალოდ დაბეჭდილია თურქეთის განათლების სამინისტროს სტამბაში და ვიზირებულია თავად იქაური განათლების სამინისტროს მიერ. ამდენად, აქ უკვე სახელმწიფოს პოლიტიკაზეა საუბარი და არა რომელიღაც ერთ წიგნში შემთხვევით გაპარულ ინფორმაციაზე“,** — განმარტავს შალვა ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, სწორია საკითხის ასეთნაირად დაყენება, რომ აჭარაში თურქებს განსაკუთრებული პრივილეგიების უფლება ისევ და ისევ ჩვენმა ხელისუფლებამ მიანიჭა. კერძოდ, სააკაშვილის ისტერიულმა პოლიტიკამ, მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ აჭარასა და ბათუმზე გაკეთებულმა აქცენტებმა.

**„ლამისაა ტვინი გადაჭამა მთელ საქართველოს ბათუმთან დაკავშირებით. ეს გარკვეულ ეჭვებს იწვევდა. 26 მაისს ქუთაისში ჩატარებული აღლუმი, ალბათ, იხილეთ, სადაც ქართულ ხუთჯვრიან დროშასთან ერთად თურქული დროშაც ფრიალებდა. რა იყო ეს, დღემდე ვერავინ ახსნა, არადა, დიდი თურქული დროშა პირდაპირ კადრებში ჩანდა. ზუმბა რომ გამოდიოდა, მის უკან ქართული დროშა კი არ ფრიალებდა, არამედ თურქული დროშა. ზუმბას იმდენი ტვინი არ აქვს, რომ მოტრიალებულიყო და, როცა მღეროდა საკუთარ სამშობლოზე, დაენახა, რომ უკან თურქული დროშა უფრიალებდა“.**

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, პროფესორი ვასილ მაღლაფერიძე მიიჩნევს, რომ თურქეთში გამოცემული ეს სახელმძღვანელო უნდა გახდეს მაგალითი ქართველი პოლიტოლოგებისთვის, რომ ჩვენ ემოციებით კი არ უნდა ვისაუბროთ, არამედ ზუსტად ვიცოდეთ, რა პროცესები მიმდინარეობს. მაღლაფერიძის თქმით, ყველა ქვეყანას აქვს თავისი ინტერესები, მათ შორის, საქართველოსაც. მეტიც, თურქეთის განათლების სამინისტრო აკეთებს იმას, რაც გამომდინარეობს თურქეთის ინტერესებიდან და მსოფლმხედველობიდან. რუსეთის განათლების სამინისტრო აკეთებს იმას, რაც რუსეთის მსოფლმხედველობისაა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კი — საქართველოს მსოფლმხედველობიდან გამოდის.

მისი აზრით, თურქ მე-11-კლასელებს კი არ უნდა შევუცვალოთ ჭკუა, არამედ ისეთი კანონმდებლობა გვჭირდება, რომელიც ერთი წუთითაც არ დატოვებს არავითარ ეჭვს, რომ ბათუმი თურქეთი გახდება.

**„თურქეთი რას დაწერს თავის სახელმძღვანელოებში, ეს აბსოლუტურად მისი საქმეა და ჩვენ საერთოდ არ უნდა ვიშალოთ ნერვები, ოღონდ ჩვენ გავზარდოთ ჩვენი ბავშვები საქართველოში, რაშიც, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება სწორად არ იქცევა. უნდა შევქმნათ ისეთი გარემო, რომელიც არასდროს მისცემს საშუალებას ვინმეს, რომ ბათუმი ისევ გახდეს თურქეთის ნაწილი. თურქეთი, ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, ამას აცხადებს ხმლის საფუძველზე. სტამბოლი არის თურქეთის ტერიტორია და ვერც ერთ თურქს ვერ დაარწმუნებთ, რომ სტამბოლი არ არის მისი ტერიტორია. რასაკვირველია, დაპყრობა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. ის, რომ თავისი სისუსტის გამო საქართველოს არავინ ჰყავს დაპყრობილი, ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებიც ჩვენსავით არიან“.**

ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური ადასტურებს, რომ 300 წლის მანძილზე თურქებს მიტაცებული ჰქონდათ ეს ტერიტორია, თუმცა რეალურად, ბათუმი, აჭარის მხარე ქართული მიწა, ქართული ტერიტორია იყო და ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში 1600 წლამდე არსებობდა.

**„ასე ყველაფერზე შეიძლება თქვა, რომ შენია. მე-16 საუკუნის ბოლოს თურქეთმა მიიტაცა ეს ტერიტორია, მაგრამ აჭარის მოსახლეობამ მოახერხა, რომ შეინარჩუნა ქართველობა, ეროვნული თვითშეგნება, მიუხედავად იმისა, რომ გამაჰმადიანდნენ და ქრისტიანობას ჩამოშორდნენ. 1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც აჭარა საქართველოს დაუბრუნდა, ეს იყო უდიდესი ზეიმი არა მხოლოდ ილიასთვის, აკაკისთვის და დანარჩენი საქართველოსთვის, არამედ თვითონ აჭარლებისთვის. სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც მანამდე აჯანყებას მეთაურობდა თურქეთის წინააღმდეგ, მემედ აბაშიძე და სხვები ჩამოვიდნენ თბილისში, მათი დიდი ძალისხმევით აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. 1921 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქებმა გარკვეული დროით დაიკავეს ეს ტერიტორია, რადგან რუსეთი გავიდა ომიდან და კაპიტულაცია გამოაცხადა. მოგვიანებით ეს ტერიტორია, მუდროსის ზავის თანახმად, თურქეთს უნდა დაეტოვებინა, მაგრამ თურქეთს არაფრით სურდა იქიდან გასვლა და სხვათა შორის, მერე, როდესაც ბოლშევიკებმა დაიპყრეს საქართველო, დამოუკიდებელი საქართველოს გენერალმა მაზნიაშვილმა, ბოლშევიკებთან ერთობლივი მოქმედებით, გაათავისუფლა აჭარა თურქებისგან. მანამდე იყო იმის მცდელობა, რომ აჭარა თურქეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო, მაგრამ არც მაშინ გამოუვიდათ არაფერი, იმდენად მედგრად იდგა აჭარის მოსახლეობა და იმდენად ქართული, ეროვნული განწყობა იყო მათში“,** — აცხადებს გიორგი ოთხმეზური.

**„მისი თქმით, 1921 წელს დაიდო ყარსის ხელშეკრულება, რომელშიც რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი მონაწილეობდნენ. ბათუმზე თურქეთის მოთხოვნის გამო გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა რელიგიური ნიშნით. ამის მერე ყოველგვარი კამათი დასრულდა და ამის შემდეგ თურქეთს აღარც ჰქონია პრეტენზია“.**

მისი აზრით, არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები და უნდა შევიტანოთ საპროტესტო ნოტა, რომ ასეთი სიყალბის გაკეთება არ შეიძლება. ამასთან, გიორგი ოთხმეზური მიიჩნევს, რომ ეს გამოიწვევს დაპირისპირებას თურქეთსა და საქართველოს შორის.

**„მაშინ, როცა დღეს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობაზე ვლაპარაკობთ, ამის გაკეთება ძალიან სახიფათოა“,** — ასკვნის ისტორიკოსი და თურქების ამგვარ გააქტიურებაში საქართველოს ხელისუფალთა კვალს ხედავს. კერძოდ, აჭარაში ძალიან ბევრი მეჩეთი გაიხსნა და, ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, თურქებს დიდი პრივილეგიები აქვთ მინიჭებული.

**მანანა ნოზაძე,**
Presage.tv



## დედამიწის ზურგზე



ამერიკის სასამართლო გამოვიდა ოჯახის დაცვის შესახებ კანონის წინააღმდეგ — ის გეების დისკრიმინაციას ახდენსო

საააპელაციო სასამართლომ ბოსტონში არაკონსტიტუციურად მიიჩნია კანონი, რომელიც არ აძლევს ერთსქესიან წყვილებს სარგებლობდნენ იმავე შეღავათებითა და მომსახურებებით, რომლებიც აქვთ ჰეტეროსექსუალებს. ეს არის პირველი ამგვარი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ასეთ მაღალ დონეზე. თუმცა, იგი არ იმოქმედებს უმაღლესი სასამართლოს მოწონებამდე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პუტინის ვიზიტის შესახებ მინსკში: ლუკაშენკოს სიუხვე არ მოაკლო და დასავლეთს დაანახვა კრემლის შეტევითი პოზიცია



ბელარუსის პრეზიდენტმა თბილად მოხვია ხელი რუს კოლეგას, მოლაპარაკებაზე ისინი ერთი მანქანით მოვიდნენ. შემდეგ კი ლუკაშენკომ, როდესაც სამი მილიარდი დოლარი მიიღო, განაცხადა, რომ პუტინის ჩამოსვლა ეკონომიკურ პროექტებზე უფრო ძვირფასია. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ტელევიზიები ლუკაშენკოს ჰიტლერს ადარებდნენ და ფსიქიკურად დაავადებულს უწოდებდნენ.

პენტაგონის ხელმძღვანელი აშშ-ის სამხედრო მოქმედებების შესახებ სირიაში გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით: „არ შემიძლია ასეთი რამის წარმოდგენა“



„მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული, მიიღებს საერთაშორისო გაერთიანება და შეერთებული შტატების პრეზიდენტი“, — დაუმატა პანეტამ. ადრე ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ივარაუდა, რომ ანანის გეგმის ჩავარდნისა და გაეროს უშიშროების საბჭოში გათიშულობის შემთხვევაში, მსოფლიო გაერთიანებას მოუწევს, იმოქმედოს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით.

დედამიწა გადაიტანს ირმის ნახტომის შეტაკებას ანდრომედას ნისლეულთან, განაცხადეს „ნასაში“

თუ კაცობრიობა შენარჩუნდება ოთხი მილიარდი წლის შემდეგ, როდესაც დაიწყება ორი გალაქტიკის შერწყმის პროცესი, მაშინ მას შეეძლება მშვიდად გადაიტანოს მომხდარი, ამტკიცებენ მეცნიერები. აი, ეს რომ მოხდეს ახლა, მაშინ სიცოცხლე დედამიწაზე დაიღუპებოდა. გალაქტიკების შერწყმის პროცესისთვის ხელის შეშლა არაფერს შეუძლია.



## მიტოვებული ხეობა

**ამინდის პროგნოზი ისევ არ გამართლდა, გუდამაყარში მზიანი ამინდი იყო. გოდერძი ჩოხელის სამშობლოსკენ მიმავალ გზაზე ერთ გოჯზეც არსად არის ასფალტი დაგებული. სოფელ კიტოხიდან ჩოხამდე კი გზა მდინარე შავი არაგვის კალაპოტის გავლით ადის.**

**ფასანაურიდან გასულებს, სოფელ მაქართაში, გზაზე მეწყერი დაგვხვდა ჩამოწოლილი. ჩოხამდე არავინ შეგვხვედრია, გზაზე არც ბანერი იყო სადმე, სადაც სოფლის სახელწოდება მაინც იქნებოდა.**

**ჩოხში გოდერძი ჩოხელის სკოლასთან გავჩერდით. ორი წლის წინათ, როცა გოდერძის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ, სკოლა გარედან მაინც ჰგავდა სკოლას, წელს თოვლს სულ ჩამოუქცევია სახურავი და სკოლიდან ნანგრევებიღაა დარჩენილი.**

**სოფელ მაქართაში მეწყერს გზა წაუღია. „ახლა წვიმები არაა დაწყებული, თორემ სულ ჩამოიტანს გზას. გეოლოგების თქმით, ეს მცოცავი მეწყერია და არ გაჩერდება, ვიდრე სულ არ ჩამოიცლება. ახლა ქვა გორავს და კლდეც იშლება. შეიძლება მომავალ მანქანას უცბად დაეცეს. მეწყერი, კიდევ რომ ჩამოწვეს, 19 სოფელი გარესამყაროსგან მოწყვეტილი დარჩება“, — გვითხრა გუდამაყრის თემის რწმუნებულის თანაშემწემ ნელი ბექაურმა.**

### შეხვედრა ჩოხში

ვიდრე ჩოხელები შეიკრიბებოდნენ და გულისტკივილს გაგვანდობდნენ, ხევიდან წელდმომარჯვებული მოხუცებული ქალი ამოვიდა და გვერდით მოგვიჯდა. ეს სანდომიანი ქალბატონი სოფიო ჩოხელი აღმოჩნდა, რომელიც იანვარში ასი წლის გახდება. ჯერ არც შრომას გაურბის და არც გუდამაყრის მკაცრი ზამთრის ეშინია. ისიც სინანულით იხსენებს გოდერძის და თვლის, რომ მისი სახელობის სახლ-მუზეუმის აშენებით საქვეყნო საქმე გაკეთდება. „კარგი ბიჭი იყო გოდერძი. კარგი დედიშვილი. წიგნი წავიკითხე მისი და გული შემიწუხდა, ჩვენი ხეობის ტკივილი აქვს აღწერილი. მსოფლიომ კი მაგით გაიცნო, მაგრამ აბა, ამით თავის თავს რა არგო“, — წუხს სოფიო ბებო.

„სახლ-მუზეუმი აუცილებელია, თორემ შარშან, გოდერძი ისე დატოვეს, აღარც დაბადების დღე გადაუხადეს“, — დარდობს კიდევ ერთი ჩოხელი, 65 წლის ევა აფციაური.

ჩოხელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ჩამონგრეული სკოლის ტერიტორიაზე გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი აშენდება, ხელისუფლება ამაში მაინც დაუდგებათ მხარში.

### ოთხ სოფელს მხოლოდ ერთი მეათეკლასელი ჰყავს ნუგეშად

სოფელში, სადაც ახლა 8 ქალი ცხოვრობს, წლების წინათ სიცოცხლე დუღდა. ადრე, ამ სკოლაში ბავშვების ჟრიამული ისმოდა. ახლა კი პატარებს ვეძებდით. ბევრი ძებნის შემდეგ — ერთი წლის ნიკოლოზ წიკლაური ვნახეთ. ნიკოლოზის ბებია წუხს, „დიდი რომ გაიზრდება, რა უნდა ვქნათ, არ ვიცით, არც ბაღი გვაქვს, არც სკოლა. ალბათ, ჩვენც წავალთ ბარში“. აქაური ბავშვები კიტოხში დადიან. ოთხ კილომეტრნახევარს ფეხით გადიან. თუმცა რაღა ბავშვები, ოთხ სოფელს მხოლოდ ერთი მეათეკლასელი ჰყავს ნუგეშად.

ჩოხის გარშემო სოფლებში — ათნოხში, დუმაცხოსა და ბოსლევში მხოლოდ მოხუცებიღა ცხოვრობენ. ჩოხსა და დუმაცხოში ზამთარში მხოლოდ 12 ოჯახი რჩება. ალბათ, პატარა ნიკოლოზსაც წაიყვანენ ბარში, თუ გუდამაყარში მდგომარეობა არ გამოსწორდა.

ნელი ბექაურის თქმით, გუდამაყრის ხეობის 22 სოფელში 105 ოჯახიღაა დარჩენილი და ამ ოჯახებსაც ბევრი პრობლემა აქვთ. არ არის მაღაზია, ამბულატორია, ფოსტა, აფთიაქი... ისინი მხოლოდ ღვთისა და ერთმანეთის იმედად ცოცხლობენ.

სამედიცინო ცენტრი კიტოხშია. „აქ რომ ვინმეს რამე დაემართოს, მშველელი არავინაა. კვირაში ერთ დღეს ამოდის ექიმი, სხვა დღეს ადამიანი ცუდად არ უნდა გახდეს“, — ხუმრობენ ჩოხელები.

ხათუნა გურგენიძე გუდამაყარში კვირაში ერთხელ ანანურიდან ადის. ადრე ფასანაურიდან იძახებდნენ სასწრაფოს. „ახლა დუშეთიდან უნდა გამოვიძახოთ. ვიდრე აქამდე ამოვა სასწრაფოს მანქანა, ორი საათი მაინც მოუნდება. ავადმყოფი მანამდე მოკვდება კიდეც“, — ამბობენ ადგილობრივები. გამიმხილეს, რომ ზამთრის მხოლოდ ამიტომ ეშინიათ, თუ რამე დაემართა რომელიმეს, დამსაფლავებელიც არავინ გვყავსო. ზამთარში თოვლისგან გზის გაჭრა ჭირს და საფლავს როგორ გავჭრით, როცა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე არავინ დარჩა სოფელშიო.

### მოძრავი მაღაზია და „მარშრუტკა“ კვირაში ერთხელ

პირველადი მოხმარების ნივთებით და პროდუქტით დატვირთული „მარშრუტკა“ გუდამაყარში, ქალაქიდან კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, ისიც ზაფხულში, ამოდის. მოსახლეობაც იქიდან ყიდულობს

# „სანამ შატილივით არ დაეცემა გუდამაყარი, ხომ შეიძლება გზა მაინც გაკეთდეს?“



მარილს, შაქარს... თუ არადა, თუ ვინმე ფასანაურისკენ მიდის, მას აბარებენ შაქარს, მარილს, წამალს და ა.შ.

ერთადერთი ტრანსპორტი, „მარშრუტკა“ თბილისი — ჩოხი კვირაში ერთხელ დადის, ისიც ზამთარში ჩოხამდე ვეღარ ამოდის. „წელს გვიან ჩაიკეტა გზები, იანვრის შუა რიცხვებში მოვიდა თოვლი. ისე კი, დეკემბრიდან მარტის ჩათვლით გარესამყაროსა ვართ ხოლმე მოწყვეტილი. ახლა ეს წყლები ადიდდება და ისევ უგზოდ დავრჩებით“, — დარდობენ გუდამაყრელები. მათივე თქმით, გზა რომ იყოს, ისევ უკან დაბრუნდება ხეობიდან წასული ხალხი, რადგან ზაფხულში ყველა გუდამაყრელი საკუთარ კერას მაინც აკითხავს. ზამთარში კი ან თბილისში მიდიან, ან ბავშვები მიჰყავთ სხვაგან სასწავლებლად.

### დუმაცხო ორი ოჯახით

ჩოხიდან დუმაცხოში გადავწყვიტეთ გადასვლა და იქაურებთან გასაუბრება. თუმცა, შავმა არაგვმა ძალიან შეგვაშინა. სახელდახელოდ დაგებულ ხიდებზე გულის ფრიალით გადავიარე. მეგონა, აღრიალებული არაგვი ფეხქვეშ გამომაცლიდა სიპი ქვებით გაკეთებულ ხიდს.

დუმაცხოში ორი ოჯახი დაგვხვდა. 80 წლის მაგდანა აფციაური და 68 წლის თამარ ჩოხელი.

„ნეტა შემოვიდოდეს ვინმე და გააკეთებდეს რამეს. აქ კარგი ჰაერია, კარგი წყლებია. გზაც მოვიდოდა, ხალხიც შემოტრიალდებოდა, ეს მომთაბარე ხალხიც დაბრუნდებოდა, ახალგაზრდობამ აქ რა უნდა გააკეთოს, გადარჩენისთვის მიდიან ბარში“, — ამბობს თამარ ჩოხელი და მდინარისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე წუხს. ჩოხში გადასასვლელი ხიდი არაა და როგორც კი არაგვი ადიდდება, სოფელი გარესამყაროს მოწყდება. იმასაც შიშობს, რომ გაზაფხულზე მოვარდნილმა არაგვმა შესაძლოა მისი კარ-მიდამო წალეკოს.

„აქ ადრე სკოლა გვქონდა, აბანო, ელექტროსადგური, საკუთარი ელექტროენერგია გვქონდა. ყოველ შაბათ-კვირას კინოც ამოდიოდა. ყველაფერი ჩაიქცა და ჩამოინგრა“, — წარსულს მისტირიან მოხუცები.

„რაღაც უნდა გაკეთდეს, რომ ხალხი მოტრიალდეს და დაუბრუნდეს სოფელს. ადრე მეცხოველეობა იყო განვითარებული, ოჯახს თუ ათი სული საქონელი მაინც ეყოლება, აღარ გაუჭირდება“, — გვეუბნება 42 წლის გურჯი აფციაური, რომელიც გუდამაყარში ოთხი წლის წინათ დაბრუნდა. მისივე თქმით, გუდამაყარში ბევრი ადგილობრივი და უცხოელი ტურისტი მიდის, „კარვებს გაშლიან ხოლმე და მერე აქედან ყაზბეგში გადადიან. გუდამაყარში დიდი ტურისტული პოტენციალია და ვინმე რომ დაინტერესდეს, ამით ჩვენც გვეშველება და ქვეყანასაც სასიკეთოდ წაადგება“.

ჩოხის ზემოთ მერცხლის ბუდესავით შეფენილ სოფელში მხოლოდ ერთი კაცი ცხოვრობს. მოხუცი თავის სახლ-კარსა და ფუძეს არ ტოვებსო. სამწუხაროდ, იქამდე ასვლას ვეღარ ვასწრებთ.

### „პრეზიდენტამდე რომ მივსულიყავი, პირველ რიგში გზას ვთხოვდი“

ნელი ბექაური გუდამაყრის რწმუნებულის თანაშემწედ დანიშვნამდე, თემის რწმუნებული იყო და 22 სოფელი ებარა. კვირაში ერთ დღეს, დუშეთის გამგებელთან სოფლის გამგებლების თათბირზე რომ ჩასულიყო, ჩოხიდან ფასანაურამდე ფეხით ჩადიოდა და უკანაც ფეხით ბრუნდებოდა. ხეობაში ბევრი ამბობს, ნელი რომ არა, აქამდე ვინც შემოვრჩით გუდამაყარში, ჩვენც აყრილები ვიქნებოდითო.

**ნელი ბექაური:** „გუდამაყარში შეიძლება სოფლის მეურნეობა განვითარდეს. იყო საუბარი, რომ გრანტები ჩაიდოს, განვითარდეს მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა. ადრე ჰესი მუშაობდა, მაგრამ მის გაკეთებას ძალიან დიდი თანხა დასჭირდება. აქ ჯებირებია გასაკეთებელი. გამსიც ამ პრობლემის წინაშე დგას, ყველაზე მრავალკომლიან სოფელში — ლუთხუბში, სადაც 37 ოჯახი ცხოვრობს, ხიდია გასაკეთებელი. უხიდობა უდიდეს პრობლემას უქმნის მოსახლეობას. მთას თუ ყურადღება არ მიექცა, მესამედ დაიცლება ხეობა. სანამ შატილივით არ დაეცემა გუდამაყარი, ხომ შეიძლება გზა მაინც გაკეთდეს? უგზოობის გამო არ აქვთ საშუალება, რომ საქონელი გამოკვებონ. ყველაზე მეტი გაჭირვება ამ კუთხეშია. დღეს თუ 105 ოჯახია, ხვალ აღარავინ დარჩება.

ჩოხამდე გზის ამოყვანას არავინ ითხოვს, რადგან წყალში გადაყრილი იქნება ეს ფული. არაგვი ადიდდება, ან წვრილ-წვრილი მეწყერები გზას მაინც წაიღებს — მხოლოდ ფასანაურიდან კიტოხამდე. პრეზიდენტამდე რომ მივსულიყავი, პირველ რიგში მაგას ვთხოვდი — გზას ვთხოვდი“.

ნელი ბექაური გულისტკივილით იხსენებს, როგორ იმსხვერპლა უცებ ადიდებულმა არაგვმა მისი მამამთილი: „ვიდრე კიდევ ვინმე არ დაღუპულა, იქნებ გაკეთდეს ხიდები, მერე ვაის და უის ძახილს. ზღვაში წვეთია, რასაც ეს ხალხი ითხოვს. ხიდი ჩოხიდან დუმაცხოში და ლუთხუბში. ზამთარში მართლა საშინელებაა ოთხი სოფელი გარე სამყაროსაა მოწყვეტილი. ადამიანი ფეხით მაინც რომ გადავიდეს. მდინარეზე ნაპირსამაგრი სამუშაოებია ჩასატარებელი, თორემ მოსახლეობას საფრთხე შეექმნება, განა მარტო ამ სოფლებს — ქვევით სოფლებსაც. იქნებ, ვინმემ ჩვენი სატკივარი გულთან ახლოს მიიტანოს“, — ამბობს ნელი ბექაური.

### „ჩოხმა მიმიღო“...

შავ არაგვს გამოღწეულმა მაინც გავწიე ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავისკენ. იქ გოდერძის დედინაცვალი, ქალბატონი ნუნუც მელოდებოდა. გამიმართლა, თბილისიდან ახლად ჩამოსული, 35 წლის ჩოხელი ირაკლი აპირებდა სალოცავში ასვლას. გზას ერთად გავუყევით, გურჯიც წამოვიდა. ირაკლი გზადაგზა ადგილობრივ ტრადიციებზე მომითხრობდა. თურმე, ხეობა სტუმარს თუ მიიღებს, აუცილებლად გაწვიმდება, რაც არ უნდა მზიანი ამინდი იყოს და ჩოხის გასასვლელში გადაილებსო. გულდაწყვეტილმა ჩავიჩურჩულე, ესე იგი მე არ მიმიღო-მეთქი ჩოხმა. სალოცავში ქალის შესვლა არ შეიძლება. თურმე, ადრე ქალი რომ მშობიარობდა, სოფელს გარეთ მიდიოდა და ორმოცი დღის შემდეგ ბრუნდებოდა ოჯახში. ჩოხელები ღვთის რჩეული ხალხი ვართ და ჩოხელის ვაჟისთვის ცოლობაზე უარის თქმაც არ შეიძლებოდაო...

საუბარში ვერ შევამჩნიე ისე მივადექით გოდერძის მამაპაპისეულ სახლს და გოდერძის დედინაცვალიც გამოგვეგება. მოგვესიყვარულა, უკან მთაზე გადამიყვანა და გოდერძის საყვარელი ადგილები დამანახა. შორიდან ვხედავდი ზარებს და ადგილს, სადაც ხევისბერი გამოდის ხოლმე და ირაკლიც წამდაუწუმ მაფრთხილებდა, რომ აკრძალულ ტერიტორიაზე ფეხი არ დამედგა, ფოტოკადრისთვის კი ვნატრობდი, რომ ნახევარი ნაბიჯით იქით გადავსულიყავი და გადამეღო, მაგრამ მაინც დავემორჩილე ადგილობრივების ადათ-წესებს. სამაგიეროდ, იმ ეკლესიაში შესვლის ნება დამრთეს, რომელიც ძველი ეკლესიის ნანგრევებიდან ადგილობრივებმა თავიდან ააგეს.

ნუნუ დეიდა სიყვარულით მისტუმრებს და მარიამობას მიწვევს, ირაკლი კი ბევრი თქმულების მოყოლას მპირდება, თუ ორი-სამი დღე დავრჩები გუდამაყარში, იმდენისას, რომ წიგნი დაიწერებაო მარწმუნებს და უკანა გზაზეც გუდამაყრის ისტორიებს და თქმულებებს ვისმენ. მთიდან დაშვებისას სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობთ. ირაკლის მიაჩნია, რომ რაც კი შეიძლება ადამიანს ამძიმებდეს, ყველაფერი აწუხებს ამ ხალხს. „გუდამაყრის გარდა მეეჭვება ვინმეს შეეძლოს ამდენი გაჭირვების გადატანა“, — ამბობს ირაკლი ჩოხელი.

ის წინააღმდეგია ტურისტული ბაზები აშენდეს გუდამაყარში ისე როგორც გუდაურში, ხევში, სვანეთში. მისი აზრით, აქაუროზას აღარ ექნება ის ხიბლი, რაც ახლა აქვს და ნელ-ნელა მამაპაპისეული ტრადიციაც დავიწყებას მიეცემა. „მთა ფაქიზია, გაფრთხილება უნდა. მისი გადარჩენისთვის, ალბათ, სხვა გზა არსებობს... გოდერძი რომ იყოს ცოცხალი, ის გეტყოდათ აუცილებლად“, — გვითხრა ირაკლიმ.

მწუხრის ჟამს დავემშვიდობეთ ჩვენს მასპინძლებს და დუშეთისკენ გამოვწიეთ. უკან ირაკლი მოგვყვებოდა... უცებ მოიღრუბლა და კოკისპირული, თბილი წვიმა წამოვიდა. ირაკლიმ გაჩერდითო, გვანიშნა - ხედავ, მიგიღო ხევმა, მიგიღო — დამიძახა. ხევმა მიმიღო, ჩოხს როგორც კი გამოვცდით, წვიმამ მართლა გადაიღო.

**ოლიკო ცისკარიშვილი**

## განათლება

# სკოლა ჩვენი უმთავრესი საზრუნავი

**პოლიტიკურმა ორგანიზაცია „მამულმა“ გამართა პრესკონფერენცია საჯარო სკოლის საერთო მდგომარეობის შესახებ, რომელიც, მოგეხსენებათ, დღეს მოსახლეობისთვის აქტუალური თემაა. ორგანიზაციის თავმჯდომარე თემურ ბობოხიძე აცხადებს, რომ ის შეხვდა მოსწავლეთა მშობლებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან სკოლაში გახანგრძლივებული სწავლებით, მოსწავლეთა კვებითა და მანდატურებით. სწორედ ამიტომ „მამული“ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ბაბაშვილთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინთან შედის შემდეგი წინადადებით:**

**1. გადაიხედოს საჯარო სკოლებში გახანგრძლივებული სწავლების საკითხი და დადგინდეს მშობლებზე გათვლილი სატარიფო განაკვეთი. კერძოდ, გადახდა მოხდეს გამოყენებული დღეების მიხედვით.**

**2. აიკრძალოს სკოლებში ხელზე საკვების თანხის გადახდა. მშობლებმა საკვების თანხა უნდა გადაიხადონ თვის ბოლოს, ოჯახის შემოსავლის მიხედვით.**

**3. მანდატურებად დაინიშნონ სტუდენტები, რომლებიც გაივლიან სპეციალურ კურსებს ფსიქოლოგიაში, პირველად დახმარებაში, სპორტულ განვითარებაში და სხვადასხვა თამაშებში.**

**თემურ ბობოხიძე ამბობს, რომ მათ მიერ ჩათვლილი საკითხები არის საერთაშორისო მასშტაბით აპრობირებული და დანერგილი.**

**ცხადია, ეს ფაქტი ყოველი ჩვენგანისთვის ყურადღებაგასამახვილებელია, ვინაიდან დღევანდელ კრიზისულ ვითარებაში მშობელს არა აქვს იმის საშუალება, რომ გახანგრძლივებული სწავლებისთვის თვეში 30 ლარი გადაიხადოს. „მამული“ და კეთილი ნების ელჩი (საფრანგეთი) ქალბატონი კატრინ ლუსელი ყველანაირად ცდილობენ დაეხმარონ მოსწავლეთა მშობლებს, რათა მათ შეძლონ თავიანთი შვილებისთვის საჯარო განათლების მიცემა მათივე პირობებიდან გამომდინარე. დღეს ხომ ყველა ოჯახს არა აქვს იმის ფუფუნება, შვილი ატაროს კერძო პედაგოგთან, ან რაღაც სხვა დამატებითი განათლება მისცეს, ისინი მხოლოდ ყოველდღიურ შემოსავლაზე არიან დამოკიდებულები.**

**ვიმედოვნებთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეძლებს მათს მხარში დადგომას.**

**ნინო გელაძე,**
**ნათია ამბროლაძე,**
მარკეტინგული და მედია კომუნიკაციების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები.

◉ წყალხტომა

# გუჯაბიძეს — ოქრო, სიჭინავას — ბრინჯაო



**მინსკში წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა 17 წლის ალექსანდრე გუჯაბიძემ, რომელმაც 19-წლიანთა შორის 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში წინასწარ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა, ფინალში კი ყველას აჯობა და**



**კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ ალექსანდრე სახელოვანი მთამსვლელის, ორგზის „თოვლის ჯიქის“, ექვსი რვაათასიანი მწვერვალის დამპყრობ ბიძინა გუჯაბიძის ვაჟია.**

მინსკში 16-წლამდელთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 წლის რუსთაველი თამარ სიჭინავაც, რომელმაც 7-მეტრიანი კოშკურიდან მე-3 ადგილი დაიკავა.

**ლაშა დიდია**

◉ შეხვედრა

# 165-ე სკოლაში

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი, ვეტერანი კალათბურთელი ნიკოლოზ დერიუგინი და საქართველოს ნაკრების წევრი ვიქტორ სანიკიძე 165-ე სკოლას ეწვივნენ და სპორტის გაკვეთილს დაესწრნენ.** მინისტრმა დამსწრეთ აუწყა, რომ საჯარო სკოლებში ახალი ეტაპი დაიწყება, რომლის შესაბამისად 50-მდე სკოლაში შეკეთდება სპორტული დარბაზები, ახალი სასწავლო სეზონიდან კი კალათბურთის სასკოლო ლიგა შეიქმნება, ვეტერანი და მოქმედი კალათბურთელები სამწვრთნელო პროცესებში ჩაერთვებიან.

**გივი გაგუა**



◉ უნივერსიადა

# მომავალ ტექნიკოსებს კონკურენციას ვერ უწევენ

**საქართველოს წლევანდელი უნივერსიადის პროგრამით სტუდენტმა ათლეტებმა უკვე სპორტის 14 სახეობაში იასპარეზეს. ეს მარათონი სხვებზე უკეთ ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განვლეს — მათს ყულაბაში უკვე 45 მედალია, მათ შორის — 18 ოქროსი, 10 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოსი. მეორე გუნდურ ადგილს აგრარული უნივერსიტეტის სპორტსმენები ინარჩუნებენ. მესამე ადგილზე თსუ-ს სტუდენტებმა გადაინაცვლეს, მას შემდეგ, რაც მკლავჭიდში 5 ოქროს მედალი დაიმსახურეს. ბოლო ორი შეჯიბრება სწორედ მაგიდის ჩოგბურთსა და მკლავჭიდში გაიმართა.**



ჩოგბურთელ გოგონებში ყველა შეხვედრა მოიგო მარიამ გოგოჭურმა (სტუძ, რომელმაც ფინალში თამარ კირკიტაძეს (ქართული უნივერსიტეტიძ სძლია. მესამე იყო ნონა მარქარიანი (ბათუმის უნივერსიტეტიძ. ვაჟებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა დავით ცატუროვი (სეუძ. გადამწყვეტ პაექრობაში მან ვინსენტ პრაავენ სებასრიანი დაჯაბნა. მესამე ადგილი დავით დავითაძემ (ორივე-სამედიცინო უნივერსიტეტიძ დაიკავა.

მკლავჭიდელებმა სასპორტო კლუბ „არენაში“ მოსინჯეს ძალები. გაუწყებთ მარჯვენა და მარცხენა მკლავებით გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**კვარცხლბეკი**

**მარჯვენა. 65 კგ.** 1. ნიკოლოზ წერეთელი (სტუძ, 2. გიორგი როსტომაშვილი (აგრარულიძ, 3. ზაზა ვაშაყმაძე (ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტიძ. **70 კგ.** 1. ომარ კვარაცხელია (აგრარულიძ,



2. ნიკოლოზ კლდიაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიძ, 3. ჯემალ კედიაშვილი (ბათუმიძ. **75 კგ.** 1. გიორგი ჯუღელი (თსუძ, 2. ფირუზ ჭელიძე (ბათუმიძ, 3. ირაკლი ფალიანი (აგრარულიძ. **80 კგ.** 1. ლაშა დორეული (თსუძ, 2. ნიკოლოზ საბიაშვილი, 3. ალექსი ხოდელი (ორივე — ილიას უნივერსიტეტიძ. **85 კგ.** 1. მერაბ კაკაბაძე (აგრარულიძ, 2. გოჩა ხაიკაშვილი (ილიას უნივერსიტეტიძ, 3. გიორგი დემეტრაშვილი (სტუძ. **მძიმე.** 1. ვასილ დაუთაშვილი (სტუძ, 2. ვალერი გოზეჯიშვილი (საავიაციოძ, 3. ლევან ყოჩიაშვილი (აგრარულიძ.

**მარცხენა. 65 კგ.** 1. გიორგი როსტომაშვილი (აგრარული), 2. ნიკოლოზ წერეთელი (თსუ), 3. გია ბერიძე (ბათუმი). **70 კგ.** 1. ომარ კვარაცხელია (აგრარული), 2. ნიკოლოზ კლდიაშვილი (ილია), 3. არჩილ ხოზრევანიძე (ბათუმი). **75 კგ.** 1. გიორგი ჯუღელი (თსუ), 2. იაროსლავ ფალიანი (აგრარული), 3. ბაჩუკი შარაშიძე (საზღვაო აკადემია). **80 კგ.** 1. ლაშა დორეული (თსუ), 2. ოთარ თავართქილაძე (აგრარული), 3. ნიკოლოზ საბიაშვილი (ილიას უნივერსიტეტი). **85 კგ.** 1. ვახტანგ ბერიძე (აგრარული). 2. გიორგი დემეტრაშვილი (სტუ), 3. გოჩა ხაიკაშვილი (ილიას უნივერსიტეტი). **მძიმე.** 1. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი), 2. ვალერი გოზეჯიშვილი (საავიაციო), 3. ლევან ყოჩიაშვილი (აგრარული).

თოთხმეტი სახეობის შემდეგ 45 მედლით (18 ოქრო, 10 ვერცხლი, 17 ბრინჯაო) კვლავ სტუ ლიდერობს. მეორე-მესამე ადგილებს აგრარული უნივერსიტეტი (11, 13, 17) და თსუ (7, 11, 7) ინაწილებენ.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ევრო — 2012

# ახლა ჯერი ლამაზ ფეხბურთზე და... წითელაზეა

**ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა, მაგრამ მასში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა უკვე გამართეს ცხარე ბრძოლები... გერმანიაში: ფრაიბურგის მახლობლად პატარა ქალაქ რუსტში ინტერნეტ-მომხმარებლებმა „მის ევრო — 2012“ აირჩიეს.**

კონკურსის მიზანი, ცხადია, იმის გარკვევა იყო, თუ რომელ ქვეყანას ჰყავს ყველაზე მომხიბლავი გულშემატკივარი. მასში მონაწილეობის მიღების თაობაზე განაცხადი 18-25 წლის ასაკის 900-მა ქალიშვილმა წარადგინა. ინტერნეტ-მომხმარებლებმა თექვსმეტი ქალიშვილი აირჩიეს (ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების რიცხვის შესაბამისადძ, რომელთაგან, უკვე საგანგებო ჟიურის წევრთა აზრით, 24 წლის რუსეთელ ნატალია პროკოპენკოს ბადალი არ ჰყავდა, რომელმაც ტიტული „მის ევრო — 2012“ დიდი უპირატესობით მოიპოვა.

მართალია, პროფესიით არქიტექტორი ნატალია პროპკოპენკო შვიდი წლის ასაკიდან გერმანიაში ცხოვრობს, მაგრამ თავს რუსად მიიჩნევს. „მის ევრო — 2012“-ს ჯილდო ორი ათასი ევრო და ველოსიპედი გადასცეს. ტიტული „ვიცე-მის ევრო — 2012“ ჩეხ ლამაზმანს მიაკუთვნეს, მეორე ვიცე-მისი კი დანიელი ქალიშვილი გახდა.

მართალია, სილამაზე კია უდიდესი ძალა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არის სხვა, სრულიად საპირისპირო ძალაც, რომელსაც დიდი სიფრთხილით მოპყრობა უნდა. საქმე ისაა, რომ ბევრ სხვა სირთულეს, რომელიც ფეხბურთში კონტინენტის ჩემპიონატის სადღესასწაულო განწყობას აშკარად არ უხდება, ახლა მოულოდნელად წითელას (ბატონებისძ ეპიდემიაც დაერთო. უკრაინის სახელმწიფო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა უკვე აღიარა ქვეყნის ტერიტორიაზე ამ ავადმყოფობის გავრცელების კერების არსებობა და უცხოეთის საელჩოებს ოფიციალური შეტყობინებაც დაუგზავნა ევრო — 2012-ის სტუმართათვის წითელას აცრის გაკეთების აუცილებლობის თაობაზე.

ბოლო ოთხი თვის მანძილზე უკრაინაში ამ ოდესღაც დაძლეული სენის 7,5 ათასი შემთხვევა დაფიქსირდა. ახლა კი მისი ეპიდემია არა მარტო ჩემპიონატის სტუმრებს, არამედ, შესაძლოა, ფეხბურთელებსაც შეუქმნის საფრთხეს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ეს „ბავშვური ავადმყოფობა“ მოწიფულ ასაკში ძალიან რთულად მიმდინარეობს, 40-გრადუსიან სიცხეს ძლიერი გამონაყარი და გართულებები ახლავს, ზოგ შემთხვევაში კი საქმე შესაძლოა პნევმონიამ-




დეც კი მივიდეს! ინფექცია ჰაეროვანწვეთოვანი გზით გადაეცემა, ვირუსი კი სამი მეტრის მანძილზე ვრცელდება. ამდენად, აცრა ავადმყოფობის აცილების პრაქტიკულად ერთადერთი საშუალებაა.

ამასთან, როგორც გაირკვა, წითელას ეპიდემია ახლა მარტო უკრაინაში კი არა, არამედ პოლონეთშიც არის გავრცელებული, დასავლეთ ევროპაში კი სულაც მეორე წელია გრძელდება. მათთვის, ვისაც წითელას აცრა ორჯერ აქვს გაკეთებული, დაავადება საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ უმრავლესობას ის მხოლოდ ერთხელ, ბავშვობაში აქვს გაკეთებული, ამიტომ რისკის სრულად გამოსარიცხად საჭიროა მისი გამეორება.

**ირმა ირემაშვილი**

◉ ინტერნეტიდან

## ევროს ოქროები

**ფეხბურთში მოახლოებული 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ პოლონეთის ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა სხვადასხვა ღირებულების საკოლექციო მონეტები.**

**უკვე გუშინ ბანკის სალაროებში გამოიტანეს ორი ზლოტის ღირებულების „ჩრდილოეთის ოქროსა“ და სპილენძ-ალუმინის ნაერთის მილიონი მონეტა. მათზე გამოსახულია უეფა — 2012-ის ლოგოტიპი და ფეხბურთელების სილუეტები.**

3 ივნისიდან კი გასაყიდად გამოიტანენ 500, 100 და 20 ზლოტის ღირებულების მონეტებს. აგრეთვე პოლონეთისა და უკრაინის ეროვნულმა ბანკებმა ერთობლივად მოამზადეს ორი ნახევრადმრგვალი მონეტის ნაკრები, რომელთა ღირებულებაა 10 ზლოტი და 10 გრივნა. მეორე ნაკრებშია აგრეთვე, ოთხი რომბის მსგავსი 10-ზლოტიანი მონეტაც, რომლებიც ერთად გამოსახავენ ფეხბურთელებს.




სპეკულაციის აღსაკვეთად ხელისუფალთ შემოიღეს შეზღუდვა საკოლექციო მონეტების შეძენაზე. მაგალითად, ვარშავაში ხელზე შეიძლება ორ ზლოტად ღირებული არა უმეტეს 20 მონეტის ყიდვა.

## რობერტო კარლოსს მანქანები ჩამოართვეს

**როგორც აღმოჩნდა, ცნობილ ფეხბურთელს რობერტო კარლოსს ძალზე უყვარს ეკონომ-კლასის მანქანები. ეს კი გაირკვა მას შემდეგ, რაც ქალებმა ბრაზილიელს სასამართლოში უჩივლეს.**

რობერტო კარლოსი მრავალმხრივი ადამიანია. ის მხოლოდ „ანჟის“ დირექტორი კი არა, ამავე დროს ერთ-ერთი კომპანიის აქციონერიცაა. ისე მოხდა, რომ ერთმა თანამშრომელმა ქალმა კარლოსს უჩივლა, ის დიდი ხანია ხელფასს არ მიხდისო. როგორც ბრაზილიური პრესა წერს, სასამართლომ ქალის მხარე დაიჭირა და ფეხბურთელს 140 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

თუმცა, ფეხბურთის ვარსკვლავს საბანკო ანგარიშზე ასეთი დიდი თანხა არ აღმოაჩნდა. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონს ექვსი მანქანა ჩამოართვეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ვერც ამ მანქანების საერთო ღირებულებამ ვერ შეადგინა საჭირო თანხა.

ალბათ, კანონის დამცველები კარლოსს რაღაც ძვირფასს კიდევ ჩამოართმევენ, თუკი ადვოკატები ვერ მორიგდებიან, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს ფეხბურთელმა მომჩივანი ქალი.



**უკან არ იხევენ!**

# გამოცდების ცენტრის ყოფილი თანამშრომლები ზეწოლასა და დაშინებაზე საუბრობენ

**გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომლები მათ მიმართ განხორციელებულ ზეწოლასა და დაშინებაზე საუბრობენ. როგორც ცენტრის ყოფილი თანამშრომლების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, განსაკუთრებული რისკებისა და საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი, სწორედ ამიტომ ისინი უფლებადამცველი ორგანიზაციების მხარდაჭერას ითხოვენ.**

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, იმის მიუხედავად, რომ არაერთხელ მკაფიოდ გამოხატეს პოზიცია მინისტრ დიმიტრი შაშკინის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა და ხშირ შემთხვევაში, გავრცელებულმა არაობიექტურმა ინფორმაციამ კიდევ ერთი განმარტების აუცილებლობა დაანახვათ.

„სამსახურის დატოვება იყო ჩვენი პრინციპული გადაწყვეტილება და პასუხი მინისტრის სრულიად დაუსაბუთებელ და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაზე, მის პოლიტიკასა და ქმედებებზე. ეს გადაწყვეტილება არანაირად არ უკავშირდება რაიმე სახის პოლიტიკურ მოსაზრებებს. ჩვენთვის შეურაცხმყოფელი იქნება ამ ნაბიჯს მიღმა პოლიტიკური მოტივების ძიება“, – ნათქვამია გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომლების ერთობლივ განცხადებაში.

მათივე თქმით, გამოცდების ეროვნული ცენტრი მუდმივად ემსახურებოდა სამართლიანობასა და ობიექტურობას და ქმნიდა კორუფციისგან თავისუფალ სისტემას.

„როგორც ჩანს, ამ პრინციპებთან შეუთავსებელი აღმოჩნდა მინისტრის პოლიტიკა. ამის დასტურია მისი მცდელობები, უხეშად ჩარეულიყო ცენტრის მუშაობაში. სწორედ ასეთ ფაქტებს ეწინააღმდეგებოდა კატეგორიულად გამოცდების ეროვნული ცენტრი და მისი ხელმძღვანელი. ამის კარგი მაგალითია სამინისტროს მიერ ცენტრისთვის მიწოდებული ცვლილებების პროექტი, რომელიც კომისიას აპელაციების შედეგების გადახედვის უფლებას აძლევდა ნაშრომებზე სახელისა და გვარის ღიად მითითებით. ცხადია, რომ ასეთი ცვლილება, რომელიც ნაშრომთა ანონიმურობის პრინციპს ეწინააღმდეგება, მარტივად იძლევა ქულებით გამიზნულად მანიპულირების შესაძლებლობას. ცვლილების ამ პროექტს კატეგორულად არ დაეთანხმა გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი და მთელი კოლექტივი“, – ნათქვამია განცხადებაში.

ცენტრის ყოფილი თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ მინისტრის გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გარემოება გახდა. მათივე განმარტებით, რჩებიან საჯარო სივრცეში, თუმცა საჯარო სამსახურის გარეთ.

ცენტრის ყოფილი თანამშრომლები სამინისტროს განათლების პოლიტიკის საკითხებზე დისკუსიასაც სთავაზობენ, როგორც თანასწორის და არა როგორც დაქვემდებარებულის როლში.

„გარწმუნებთ, რომ ჩვენ, ისევე როგორც მაია მიმინოშვილი, ყველაზე მეტად ვართ დაინტერესებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შეუფერხებლად ჩატარებაში. ეს არის საქმე, რომელსაც ბევრი ენერგია შევალიეთ და სამსახურის დატოვების შემდეგაც მზად ვართ ხელი შევუწყოთ გამოცდების უხარვეზოდ ჩატარებას. ასევე, გვსურს საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების ყურადღება მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ სამსახურიდან წამოსულ თანამშრომლებზე ხორციელდება ზეწოლა და დაშინება. მივიჩნევთ, რომ განსაკუთრებული რისკებისა და საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი. სწორედ ამიტომ უფლებადამცველი ორგანიზაციების მხარდაჭერას ვითხოვთ. ასევე, კატეგორულად მოვითხოვთ სასწრაფოდ და საჯარო წესით განემარტოს საზოგადოებას, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მინისტრის მოუწესრიგებელი და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, რატომ გაატარა მან ფუნდამენტური საკადრო ცვლილება ზუსტად გამოცდების მსვლელობის დროს, 28 მაისს“, – აღნიშნულია გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომლების განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**ხსოვნა**

# ლერი ვარდოსანიძე



საქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის დიდების ორდენის კავალერი

**ლერი ვარდოსანიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბატონი ლერი იყო ჭეშმარიტი პროფესიონალი, რომელიც ექვსი ათეული წელი უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ ელმავალმშენებლობას. მან ვაჟკაცურად, შრომაში განვლო თავისი ცხოვრების გზა.

სანიმუშო პიროვნული თვისებებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით იგი მაგალითის მიმცემი იყო ყველასათვის.

ბატონი ლერი ვარდოსანიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ელმავალმშენებლების მეხსიერებაში.

„ელმავალმშენებლები“

**პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ წევრები და ახალგაზრდული მოძრაობა მწუხარებას გამოთქვამენ პარტიის მრჩევლის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ბატონ მინდია გულუას სიდედრის, ქალბატონ**

**იზოლდა კაპიტონის ასულ შენგელიას**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ წევრები იზიარებენ ქალბატონ ნელი ჩილაჩავას მწუხარებას მძახლის**

**იზოლდა კაპიტონის ასულ შენგელიას**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მეგობრები ნინო (კისია) კილურაძე, იზოლდა (ზოტო) ჩხარტიშვილი, ნანა მათიაშვილი, ლია მელიქიშვილი, ჯუანშერ (ბახო), გულბად ამირანაშვილები, როლანდ ბურჭულაძე, ანზორ მაისურაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**თამაზ ბერაძე**

**და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

---

**თემურ მურღულია, თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ზურაბ მსხვილიძე მწუხარებით იუწყებიან**

**იზოლდა შენგელია-წურწუმიას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)**
**საქმე №7-2012**

**შპს „აი-ეს-პი ფაუნდეიშენს“ ს/კ 204508960, თბილისი, ამაღლების ქ. №29 გიბარებთ მოპასუხის სახით საარბიტრაჟო სხდომაზე 2012 წლის 14 ივნისს, 15.00 საათზე, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის გამო შპს „სი ემ სის“ და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №106.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

**ფრთხილად, ბავშვია!**

# ვიზრუნოთ მომავალზე!

**დღეს საქართველოში სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად არსებობს ბავშვთა უფლებების დაცვის პრობლემაც.**

**გუშინ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ახლადდაარსებულმა ორგანიზაციამ გამართა საგანგებო პრესკონფერენცია, რომელზეც ხაზგასმით ითქვა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ბავშვთა დაცვის ეროვნული სტრატეგია.**

**საქართველო გაეროს ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოა, თუმცა ქვეყანას, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, არ გააჩნია კონკრეტული სამოქმედო ეროვნული პროგრამა, რითაც შესაძლებელი იქნებოდა კონვენციით აღიარებული ბავშვთა უფლებების განუხრელად დაცვა.**

2011 წელს გამოვლინდა ასეულობით მშობლების მზრუნველობასმოკლებული ბავშვი, რომლებიც სახელმწიფო უწყებებს, ფაქტობრივად, არც ერთ რეესტრში არ ჰყავთ აღრიცხული. აქ საუბარია სხვადასხვა თავშესაფრებში მცხოვრებ არასრულწლოვანებზე.

მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესიც და მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების სასამართლო საქმეების გადაწყვეტისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. მიზანი უნდა გახდეს არა ბავშვების დასჯა, არამედ ცუდ გარემოსთან განრიდება. ამ თვალსაზრისით, 2011 წლის სტატისტიკით, ქართულ ციხეებში 199 არასრულწლოვანი ვაჟი და 2 გოგონა იხდიან სასჯელს, რაც განრიდებისა და მედიაციის სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევენ, რომ ე. წ. „ქუჩის ბავშვების“ მდგომარეობის შეცვლის მიზნით სახელმწიფო არაფერს აკეთებს, არადა, გაეროს 2008 წლის რეკომენდაციით, საქართველოს მთავრობას, მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული მითითებები მიეცა. რეკომენდაციაში ვკითხულობთ, რომ საქართველო ვალდებულია ჩაატაროს კომპლექსური კვლევა ქვეყანაში ქუჩის ბავშვების მასშტაბის, ბუნებისა და მიზეზების შესაფასებლად, რათა ჩამოაყალიბოს პრევენციის სტრატეგია. 2007 წელს ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ე. წ. „ქუჩის ბავშვის“ რაოდენობა 1600-მდე იყო, თუმცა კვლევა მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და თელავის მაგალითზე ჩატარდა, ადვილად სავარაუდოა, რომ დღეს ასეთი ბავშვების რაოდენობა გაცილებით დიდია. სირთულე იმაშია, რომ აღნიშნული სტატუსის მქონე ბავშვებს, უმეტეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ იურიდიული დოკუმენტაცია.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არასრულწლოვანთა გამოხატვის თავისუფლების დაცვა და მათ მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მივიჩნევთ, რომ აუცილებელი და დროულიცაა სახელმწიფომ დაიწყოს ბავშვთა საერთაშორისო კონვენციის 26-ე მუხლით აღიარებული უფლების რეალური განხორციელება და შექმნას არასრულწლოვანთა სოციალური დაზღვევის სისტემა, რათა ბავშვთა დაზღვევა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მდგომარეობას. მართალია, მთავრობამ 2011 წლის შემოდგომაზე განაცხადა, რომ უზრუნველყოფდა 5 წლამდე ასაკის ბავშვების საყოველთაო დაზღვევას, თუმცა ეს ინიციატივა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. თითქმის ყველა ქვეყანაში ბავშვთა უფლებები დაცულია. მაგალითად, ამერიკაში 18 წლამდეა დაზღვეული ბავშვი. იქ 6,5 მილიონი ბავშვი სარგებლობს დაზღვევით, მათ შორისაა 3.1 მილიონი უნარშეზღუდული მოზარდი. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შედეგად დამატებით 2000 ბავშვი იღებს დაზღვევით გათვალისწინებულ შეღავათებს.

საქართველოში ყველა ეროვნების ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული და სახელმწიფო ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ქვეყნის მომავალ თაობას!

**ნათია ამბროლაძე,**
**ნინო გელაძე,**
**მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების სასწავლო უნივერსიტეტი.**

# სიხარულის მზიანი დღესასწაული

**...საგანგებოდ** **გამართულ სცენაზე გამოსული „ევროვიზია 2010“ გამარჯვებული კვარტეტი „ბზიკები“, პოპულარული სატელევიზიო კონკურსის „ნიჭიერის“ ფინალისტი მარიამ კახელიშვილი, მრავალი სხვადასხვა ანსამბლი თუ სოლო შემსრულებელი, ხალხური ფოლკლორისა და პოპულარული ზღაპრების საყვარელი გმირები, გაცოცხლებული თოჯინები ათასგვარი ატრაქციონი, პატარა ეტლებით სეირნობა – ყოველივე ეს ულამაზესი სანახაობის მდგენელებია, რომელიც თბილისის ზოოპარკმა მსოფლიო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დედაქალაქის პატარებს მოუმზადა.**

ასე რომ, 1 ივნისს ზოოპარკში მისულმა უამრავმა ჩვენმა პაწაწინა თანამოქალაქემ უდიდესი სიხარული განიცადა, მხიარულ განწყობას არც მათი მშობლები და ბებია-ბაბუები მალავდნენ.

ასეთივე ხალისიანი ატმოსფერო დახვდა უამრავ პატარა თბილისელს, სოფელ წეროვანში კომპაქტურად დასახლებულ 400 მცირეწლოვან დევნილსა და მათ ახლობლებს მთაწმინდის პარკში, სადაც მათ მრავალ მხიარულ ატრაქციონთან, მეფოკუსესთან, ლამაზ მუსიკასთან ერთად ქართველმა მეწარმეებმა პრიზების მხიარული გათამაშება მოუწყვეს და საჩუქრებითაც გაუმასპინძლდნენ.

ბავშვთა დაცვის დღე ასევე ხალისიანად და შინაარსიანად პატარებმა თბილისის სხვა პარკებშიც გაატარეს.

**ოთარ აბრამია**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



## დღესასწაული

# სულთმოფენობა

**3 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საუფლო დღესასწაულს — სულთმოფენობას დღესასწაულობს.**

...იესო ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულებზე სულიწმინდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით გადმოვიდა, რადგან ცეცხლს თბობის, წვის და ნათების თვისება აქვს, ასევე მოციქულებმაც, წმინდა სულით აღვსილებმა, თავიანთი ნათელით გაანათეს ქვეყნიერებაზე არსებული ურწმუნოების, უგუნურობისა და ულმრთოების წყვდიადი.

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა! ქრისტიანობა სულიწმინდის მადლითა და მისი მოპოვებით განისაზღვრება. ამ დღესასწაულზე ეკლესია-ტაძრები მშვენიერი ყვავილებით იმოსება, ყვავილი ხომ ღვთის საოცარი ქმნილებაა, რომელიც თავისი უბრალოებითა და კეთილსურნელებით გამოირჩევა. ეკლესია-ტაძრებში ყვავილთა და ბალახეულთა მოფენით მადლის გადმოსვლა ხდება.

...მართლაცდა, საოცარია მადლი ამ ზეციური დღესასწაულისა!

წესისამებრ, წირვის დასრულებისას მუხლმოდრეკის ლოცვები იკითხება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „...ოქრომ რომ ბრწყინვა დაიწყოს, ათასგვარი მინარევისაგან უნდა გასუფთავდეს ცეცხლში გამოწრთობით, ადამიანის სული რომ ცოდვისაგან განიწმინდოს ცხოვრებისეულ ქურაში უნდა გამოიწვას ღვთაებრივი ცეცხლის ზემოქმედებით; არავითარ მწიგნობრობას არ შეუძლია გაზარდოს ადამიანი სულიერად, ასწავლოს სიყვარული, სიმდაბლე, თუ ეს ნასაზრდოები არ იქნება მარადიული სულით".

**გიული ლიპარტია**



## კროსვორდი



**თარაზულად.** 1. რეაქციულ-ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ სუვერენიტეტს. 7. მსჯელობის, განსჯის პროდუქტი. 8. დიდი დარბაზი. 10. ატმოსფერული მოვლენა, ელექტრობის განმუხტვა ჰაერში. 11. რუსი საბჭოთა სატირიკოსი მწერალი. 12. დიდი, უქოჩრო, გძელბოლოიანი თუთიყუში. 14. ქვეწარმავალი. 15. დაბა არხანგელსკის ოლქში. 16. თხელი გამყოფი კედელი. 19. დაბა კომის ასსრ-ში. 21. ფრთიანი ნაყოფის მქონე ხე მცენარე. 22. ღვინის ვიწროყელიანი სასმისი. 24. მტაცებელი ფრინველი. 25. ბერძნული ანბანის პირველი ასო. 26. უცნობი ცვლადი სიდიდე მათემატიკაში. 27. საინკუბატორო.

**შვეულად.** 1. კიბერნეტიკის სპეციალისტი. 2. პოეტის შთაგონების წყარო. 3. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი. 5. დარისა და ავდრის წარმმართული ღვთაება. 6. იმპერიალისტური სახელმწიფოს იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც მიმართულია კომუნისტური თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ. 7. საავიაციო, საჰაერო. 9. ხველების საწინააღმდეგო სამკურნალო ნივთიერება. 12. სამშენებლო მასალა. 13. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი თურქეთსა და ირანში. 17. კაკლის დასაბერტყი ჯოხი. 18. სოფელი გორის რაიონში. 19. მუქ-ლურჯი საღებავი. 20. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში. 23. სათამაშო კოჭის ოდნავ ამობურცული მხარე. 24. დაბალი, ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე.

შეადგინა
**ზინა ლობჟანიძემ**

### 26 მაისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**შვეულად.** 1. ბაია. 2. უფა. 3. რისკი. 4. ნიტრიტი. 5. ჰიმალაი. 6. მანია. 7. ჩია. 8. ინა. 12. ნუტრია. 13. ქორალი. 15. სულემა. 18. შარლატანი. 20. ტრიფთონგი. 23. ნაიბი. 25. ნარვა. 28. ბანტენა. 29. მუსუსი. 30. სტატია. 32. აპარატი. 33. მარაბდა. 36. აფერა. 37. ფიალა. 39. ხბო. 40. ობი. 41. ბოი. 42. იზა.

**თარაზულად.** 1. ბლუ. 2. ჩაი. 9. ფრიგია. 10. ტიტანი. 11. ანა. 14. ასა. 16. კარბონატი. 17. ბროში. 19. ატოლი. 21. ტრასა. 22. ფიბრინი. 24. ინდიუმი. 26. პასივი. 27. ივრითი. 31. ანტალია. 33. მაგნატი. 34. პასტა. 35. სერია. 37. ფინტი. 33. ფიროსმანი. 39. ხაო. 41. ბაია. 43. ბოროტი. 44. იდალგო. 45. ონი. 46. ისა.

## ანეკდოტები

**დირექტორი** დაჟინებით ათვალიერებს პირად მდივნად ასაყვან ახალგაზრდა გოგონას.

— ოთხი შვილი.. — ჩურჩულით ეუბნება კადრების განყოფილების გამგე.

— დაუჯერებელია! — ასეთი ახალგაზრდა და უკვე ოთხი შვილი ჰყავს?

— მას კი არა, თქვენ გყავთ.

* * *

— აი, სულ რომ მსაყვედურობ, ტელეფონზე მეტისმეტად დიდ ხანს ლაპარაკობო, ხომ ხედავ, სულ ათ წუთში რომ დავამთავრე ლაპარაკი? — ეუბნება ცოლი ქმარს.



— კარგია. ვის ელაპარაკებოდი?

— რა ვიცი. ვიღაცას ნომერი შეეშალა.

* * *

**მამაკაცის** ცხოვრება სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

პირველი, როდესაც მას ჰგონია, რომ ყველა ქალი სხვადასხვანაირია.

მეორე, როდესაც ფიქრობს,რომ ყველა ქალი ერთნაირია.

და მესამე, როდესაც იცის, რომ ყველა ქალი ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულებიც შეხვდებიან ხოლმე.

* * *

— **დედი!** — ყვირის ტელეფონის ყურმილში გამწარებული გოგო. — უკვე ღამის სამი საათია, ჩემი ქმარი კი ჯერაც არ ჩანს! ალბათ საყვარელი ჰყავს, არა?

— შვილო, რატომ უნდა იფიქრო ყველაზე ცუდზე? იქნებ, სულაც, მანქანა დაეტაკა და ახლა რეანიმაციაში ან მორგში წევს?

## ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ-გაზეთებიდან



### არჩევნებამდე საჯარო უწყებებში თანამშრომელთა მოხსნა იკრძალება

საჯარო უწყების თანამშრომლებს, მათ შორის პედაგოგებს, შეუძლიათ არჩევნებამდე აქციებზეც იარონ და საკუთარი აზრებიც თავისუფლად გამოხატონ. ამაზე კი პასუხს მოსთხოვენ თუ არა, ეს უკვე არჩევნების შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

### სოხუმში ქართულ სასაფლაოებზე საცხოვრებელ კორპუსებს აშენებენ

„აფსნი-პრესის" ცნობით, სოხუმის ცენტრში ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოს უკან, საფლავებთან ახლოს, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს და ამის გამო იქ მდებარე ქართულ საფლავებს განადგურების საფრთხე ემუქრება. ამბობენ, რომ აფხაზები მათი მიცვალებულების გადასასვენებლად ფულს იხდიან, ქართველთა საფლავები კი უპატრონოდ რჩება.

**„რეზონანსი".**

### საქართველომ კავკასიონზე კონტროლი დაკარგა

საქართველოს საზღვრებთან ვითარება საკმაოდ რთულია. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ყველაფერს აკეთებს, რომ საზღვრებმა აქეთ გადმოიწიოს. ამას ხან იარაღით ახერხებენ, ხანაც უჩუმრად. დაახლოებით ისე, მამისონთან რომ გადმოსწიეს. ხელისუფლება დღემდე არ აღიარებს, რომ იქ რუსები დგანან. არადა, მამისონზე უკვე წელიწადზე მეტია, რუსული და ოსური დროშები ფრიალებს.

### საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მგლები ასე არიან გაბლატავებულები

— ამბობს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძე და მგლების წინააღმდეგ ილაშქრებს.

მტაცებლებმა საქართველოს მოსახლეობა ისე შეაწუხა, რომ დიდი შანსია, სააკაშვილისა და ივანიშვილის შემდეგ ყველაზე პოპულარული კაცი ბობოხიძე გახდეს.

— მსოფლიოში საქართველო არ უნდა იყოს ერთადერთი ქვეყანა, სადაც მგელი დაცული იქნება, — აცხადებს ბობოხიძე.

**„ახალი თაობა".**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში"
**299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24